შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№32 (9.646)

30 აგვისტო-6 სექტემბერი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

პლაკატები ჩამოხსნეს

29 აგვისტოს დილის 10 საათიდან, საქართველოს მასშტაბით მუნიციპალიტეტების ჩართულობით, ყველა ქალაქი და სოფელი, წინასაარჩევნო სააგიტაციო მასალისაგან გაიწმინდა.

დასუფთავების აქციას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიც შეუერთდა. მუნიციპალიტეტის გამგეობისა და გამგეობის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების თანამშრომლებმა შენობებზე, სკვერებსა და ბოძებზე გაკრული საარჩევნო პლაკატები ჩამოხსნეს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილთან ერთად, ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე გაკრული სააგიტაციო მასალების ჩამოხსნაში მიიღო მონაწილეობა.

დასუფთავების აქცია არაპოლიტიკური ხასიათის გახლდათ. აქციის მთავარი მესიჯია, მუნიციპალიტეტებმა საკუთარ საზღვრებში გარემოს დასუფთავებაზე იზრუნონ. დასუფთავების ასეთი მასშტაბური აქციები პერმანენტულად კვლავ გაგრძელდება.

„მუნიციპალიტეტების ერთობლივი ინიციატივით აპოლიტიკური დასუფთავების აქცია მიმდინარეობს, რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ არჩევნების შემდეგ დარჩენილი წინასაარჩევნო სააგიტაციო მასალებისაგან გავწმინდოთ ჩვენი ქალაქები. აქციას დიდი სიამოვნებით შეუერთდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო - გაშლილი ვართ მთელს ქალაქში და ვიღებთ პლაკატებს. ძირითადად ვცდილობ, ჩემი პლაკატები ჩამოვხსნა“- განაცხადა დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ინგა შიოლაშვილი

მოჯადოებული წრე, რომელსაც თავს ვერ ვაღწევთ

საკითხი, რომელზეც ქვემოთ მინდა გესაუბროთ, არაერთხელ დამიყენებია საზოგადოების და მინიციპალიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე, მაგრამ დღემდე გამოსავალი და პრობლემის მოგვარების გზა, პრაქტიკულად ვერ თუ არ გამოინახა. ერთ რამეში ყველა ვთანხმდებით, რომ ფერმა, რომელსაც საძოვარი არ აქვს, უნდა გაუქმდეს, რადგან აქ განთავსებული მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონელი მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ნათესებს და ქარსაფარ ზოლებს ანადგურებს. ამას ის ებმება, რომ ფერმას, რომლის ოფიციალური მფლობელი ძირითადად ჩვენი რაიონის მკვიდრია და ეროვნებით ქართველია, უმთავრესად აზერბაიჯანელი ეროვნების ადამიანები განკარგავენ. ისინი ოჯახებით, თავიანთი საქონელ-ფრინველით არიან ჩასახლებულები ყოფილ მეღორეობის ფერმებში, რომელსაც საძოვარი არასოდეს გააჩნდა, ამ მემინდვრეობის თუ სატრაქტორო ბრიგადების, ყოფილ შენობებში, ზოგიც ყოფილ საწყობებს დაეპატრონა და მოსახლეობის ნათესების ხარჯზე ზრდიან საქონელს, ხოლო ქარსაფარ ზოლებში დაჭრილი ხეებით გამოიზამთრებენ ხოლმე, რადგან ფერმის არცერთი მფლობელი არ ფიქრობს მათი შეშით უზრუნველყოფაზე. მათ ინტერესში მხოლოდ ის შედის, რომ ქირა დროულად მიიღონ და სხვა არაფერი ანაღვლებთ. არც სინდისის ქენჯნას განიცდიან და არც წუხან იმ ზარალის გამო, რასაც მცირე თუ დიდი მიწის მეპატრონეები განიცდიან მათ ფერმებში ჩასახლებული მესაქონლეებისაგან. ამას ისიც ემატება, რომ ამ ხალხს, რომელსაც საქონელი და ფრინველი ბლომად ჰყავს, არც საძოვარი გააჩნია და არც სახნავ -სათესი. საქონელს და მათ ოჯახებს კი გამოკვება სჭირდება, ამიტომ ისინი მოსახლეობის ნათესებიდან ძირითადად ღამღამობით იპარავენ მოსავალს. როგორია, მთელი წელი წელეზე ფეხს იდგამ , შრომობ, ხარჯავ ფულს ტექნიკასა თუ სასუქ წამალში და ერთ დღესაც, შენი ნაჯაფარი მოსავლიდან აღარაფერი დაგხვდება, ეს გრძელდება წლობით.მიმდინარე წელი კი, წარმოუდგენლად ზარალიანია ჩვენი რაიონის მიწათმოქმედებისთვის, არცერთმა კულტურამ არ გაამართლა, საშემოდგომო ხორბლისა და ქერის ნათესების დიდ ნაწილში კომბაინიც ვერ შეიყვანეს, გვალვისაგან ისეთი განუვითარებელი იყო ყანები. ვინც მომკა, ხარჯიც ვერ აანაზღაურა, ჰექტარზე 200 და 300 კილოს მიღება არაფერია, მით უმეტეს, როცა მარცვალი ძალიან წვრილია. ის სათესლედ ხომ არ გამოდგება და დაფქვის დროსაც ფქვილის გამოსავლიანობის პროცენტი ძალიან დაბალი იქნება. ასე, რომ კვლავწარმოებისთვის დღეს სათესლე ხორბალი და ქერი თითქმის ყველას საძებარი აქვს. მზესუმზირების დიდი ნაწილი ისე გადახმა, თავთავის გაკეთება ვერც მოასწრო, თუ რამ ხანგრძლივმა და გაუსაძლისმა გვალვამ დაგვაკლო, შირაქში გაბნეულმა საქონელმა გადაგვითავა. გვალვისაგან გადამხმარია ყველაფერი, საქონელს შირაქში საძოვარი ისედაც არა აქვს და იოლას მუდამ ქარსაფარი ზოლებისა და ნათესების ხარჯზე გადის, ახლა - მით უმეტეს: ათობით ჰექტარი

(გაგრძელება გვ.3)

რთველი 2014

გვ. 6

საჯარო მოხელეთა ატესტაცია ნოემბრამდე ჩატარდება

გვ. 2

გაუცნობიერებელი ნაბიჯი და ბავშვების სევდიანი თვალები

გვ. 5

ქარსაკავ ზოლებზე ხანძრის შემთხვევები გახშირდა

გვ. 3

ირაკლი ღარიბაშვილი ბარაქ ობამას და მიშელ ობამას სახელით გამართულ საზეიმო მიღებას დაესწრება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 23 სექტემბერს ნიუ-იორკში აშშ-ის პრეზიდენტ ბარაქ ობამას და პირველი ლედის მიშელ ობამას სახელით გამართულ საზეიმო მიღებას დაესწრება , რომელიც გაერო-ს გენერალური ასამბლეის 69-ე სესიასთან დაკავშირებით გაიმართება. საქართველოს პრემიერის პრესსამსახურის ცნობით, საქართველოს მთავრობის მეთაური მიღებაზე მიწვეულია მეუღლესთან ერთად. საზეიმო საღამოს გაერო-ს გენერალური ასამბლეის მონაწილე ქვეყნების დელეგაციების ხელძღვანელები და მათი მეუღლეები დაესწრებიან. უკვე ცნობილია, რომ 26 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გაეროს გენერალური ასამბლეის 69-ე სესიაზე სიტყვით გამოვა. გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

პრემიერი აქციას მიესალმება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მის მიერ ინიცირებული დასუფთავების აქციის წარმატებულ დაწყებას მიესალმება.

მთავრობის მეთაური მოხარულია, რომ დასუფთავების აქცია დღეს საქართველოს რამდენიმე ქალაქში გაიმართა და მოსახლეობასთან ერთად, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ქალაქის ფასადებზე საარჩევნო პლაკატები ჩამოხსნეს.

ირაკლი ღარიბაშვილი ყველა მუნიციპალიტეტს საარჩევნო პლაკატებისგან ქალაქების ფასადების დასუფთავების აქციაში ჩართვისკენ მოუწოდებს და იმედოვნებს, რომ დასუფთავების აქცია მასშტაბურ ხასიათს მიიღებს.

დევნილის სტატუსი 17 177 პირს შეუწყდა

2013 წლის 1-ელი აგვისტოდან 2014 წლის 1-ელ ივნისამდე, რეგისტაცია 258 038 დევნილმა გაიარა, რეგისტრაციის გაუვლელობის გამო დევნილის სტატუსი 17 177 პირს შეუწყდა.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2007 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, დევნილთა ბაზაში აღრიცხული იყო 271 832 პირი. აღნიშნული მონაცემების განახლების მიზნით, მთავრობის N794 განკარგულების საფუძველზე დაინიშნა იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელახალი სავალდებულო რეგისტრაცია, რომელიც დაიწყო 2013 წლის პირველ აგვისტოს და დასრულდა 2014 წლის პირველ ივნისს.

უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში, დევნილთა სამინისტროს სტატუსის მინიჭების და აღდგენის მოთხოვნით მიმართა 1546 პირმა, აქედან დევნილის სტატუსი მიენიჭა 916 პირს, მათ შორის 325 ახალშობილია, ხოლო სტატუსი აღუდგა 52 პირს.

დევნილის სტატუსი, უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში, საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის გამო 11 პირს, ხოლო გარდაცვალების გამო 274 პირს შეუწყდა.

დევნილის სტატუსი ჩამოერთვა 121 პირს, მათ შორის ამნისტიით ისარგებლა 77-მა მოქალაქემ. სამინისტროს ინფორმაციით, გამოვლინდა ისეთი სახის დარღვევები, როგორიცაა პირადობის და დევნილის მოწმობებში გაყალბებული ფოტოსურათი, სახელის და გვარის გაყალბება. მათივე ცნობით, ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთ დევნილზე ფიქსირდება 2 ან მეტი დევნილის მოწმობა.

2013 წლის 30 დეკემბერს ძალაში შევიდა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის თანახმადაც პირებს, რომლებმაც გააყალბეს იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა და აღნიშნულის თაობაზე მიმართვენ კანონით გათვალისწინებულ დაწესებულებებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ეპატიებათ აღნიშნული დანაშაული და შეუნარჩუნდებათ მიღებული ფინანსური სარგებელი. ამნისტია არ შეეხებათ იმ „დევნილებს“, რომლებსაც სახელმწიფოსგან მიღებული აქვთ საცხოვრებელი ფართი ან ფართის ექვივალენტური ფულადი კომპენსაცია.

სამინისტროს ინფორმაციით, გაყალბებული დოკუმენტების საფუძველზე 121 დევნილი თვეში 5 445 ლარს იღებდა, რაც წელიწადში 65 000 ლარს აღემატება.

„ეს თანხა აკლდება ყველა იმ დევნილ ოჯახს, რომელიც 45 ლარიან დახმარებას ყოველთვიურად ელოდება და შემოსავლის სხვა წყარო არ გააჩნია. სამინისტრო ამ მიმართულებით მუშაობას კვლავ აქტიურად გააგრძელებს“, - განაცხადეს სამინისტროში.

დღეს ჩვენ ვგრძნობთ ჩვენს დიდ პასუხისმგებლობას და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ომი არ იყოს დედამიწაზე — ილია მეორე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის განცხადებით, დედამიწაზე მრავალი კონფლიქტი არსებობს და რელიგიების მეთაურებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ამის შესახებ დღეს საპატრიარქოში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ამიერკავკასიის მუსლიმთა საბჭოს თავმჯდომარე ალაჰ შუქურ ფაშაზადესთან შეხვედრისას განაცხადა. ილია მეორემ კმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ შუქურ ფაშაზადე 65 წლის იუბილეს თბილისში აღნიშნავს. “დღეს ჩვენ ვგრძნობთ ჩვენს დიდ პასუხისმგებლობას და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ომი არ იყოს დედამიწაზე. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის პრობლემები, რომელიც არსებობს კავკასიაში, აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონში, ყარაბაღში მშვიდობიანად გადაწყდება. კიდევ ერთხელ მოგესალმებით და მოხარული ვარ თქვენი ვიზიტით საქართველოში”, - აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა. ამიერკავკასიის მუსლიმთა სულიერმა ლიდერმა კი აღნიშნა, რომ პატრიარქი ყოველთვის პატივისცემით ეკიდება ყველა ხალხის კულტურას, მათ სულიერებას იმის მიუხედავად, თუ რომელი სახელმწიფო და რომელი ერია. “თქვენ ყოველთვის გამოდიხართ ჭეშმარიტი პოზიციიდან და სინამდვილეს ადასტურებთ, ჩვენც მივყვებით თქვენს გზას და მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ვიმედოვნებთ, რომ კონფლიქტები მშვიდობიანი გზით მოგვარდება ჩვენს ქვეყნებში. როგორც რელიგიის წარმომადგენლები, მოვალე ვართ, ეს კონფლიქტები მშვიდობიანი გზით გადაწყდეს”, - აღნიშნა ფაშაზადემ. ამიერკავკასიის სულიერმა ლიდერმა პატრიარქი აზერბაიჯანში სტუმრად მიიწვია.

საჯარო მოხელეთა ატესტაცია ნოემბრამდე ჩატარდება

საჯარო მოხელეებმა ატესტაცია 3 ნოემბრამდე უნდა გაიარონ. კონკრეტული თარიღი უცნობია, თუმცა ბოლო ვადა უკვე განსაზღვრულია.

წინასწარი ინფორმაციით, პროცესი ცენტრალიზებული წესით ჩატარდება და მუნიციპალიტეტების თვითმმართველობებში დასაქმებული საჯარო მოხელეები ატესტაციის გასავლელად თბილისში ჩავლენ.

საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესი საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა. დადგენილების თანახმად, საჯარო მოხელე ატესტაციას სამ წელიწადში ერთხელ ექვემდებარება. მისი მიზანია პირის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შესაბამისობის განსაზღვრა დაკავებული ან დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან. ასევე, მოხელის მიერ საატესტაციო პერიოდში შესრულებული პროფესიული სამსახურებრივი საქმიანობის შეფასება; საკლასო ჩინისა და სპეციალური წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება; მოხელის პროფესიული დონის გამოყენების პერსპექტივების განსაზღვრა; მოხელის კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადების ან გადამზადების საჭიროების დადგენა და მოხელის პროფესიული ზრდის სტიმულირება.

დადგენილების თანახმად, ატესტაციის ჩატარების დროს განსაზღვრავს დაწესებულების ხელმძღვანელი, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით. ხოლო, ატესტაციას დაქვემდებარებულ მოხელეთა სიას და ატესტაციის ჩატარების გრაფიკს ამზადებს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის სამსახური და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით, ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი.

ატესტაციას ატარებს შესაბამისი დაწესებულების საკონკურსო-საატესტაციო კომისია . კომისიის თავმჯდომარეს, გარდა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კომისიის თავმჯდომარისა, შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის წარდგინებით, ნიშნავს საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი. კომისიის თავმჯდომარედ, როგორც წესი, ინიშნება იმავე დაწესებულების ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.

რაც შეეხება ატესტაციის ჩატარების პროცედურას. ატესტაციის პროცესის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, ატესტაციას დაქვემდებარებული მოხელის უშუალო ხელმძღვანელი ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში წარადგენს ატესტაციას დაქვემდებარებული მოხელის დახასიათებას წინასწარ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში ატესტაციას დაქვემდებარებული მოხელეც. მოხელეს უფლება აქვს ატესტაციის დაწყებამდე გაეცნოს ხელმძღვანელის მიერ მასზე შედგენილ დახასიათებას. ატესტაციის ჩატარებისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას უზრუნველყოფს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. ატესტაცია შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ფორმით: სხვადასხვა სახის ტესტირება, წერითი დავალება ან/და გასაუბრება.

ატესტაციის ჩატარების ფორმებს, შესაბამისი შეფასების ფორმულარებს, სატესტო მეთოდიკებსა და თემატიკას, მოხელის მიერ დაკავებული თანამდებობის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვრავს კომისია, დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით. გასაუბრების პროცესში, დაკავებულ ან დასაკავებელ თანამდებობასთან ატესტაციას დაქვემდებარებული პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, კომისია ისმენს მოხელის ანგარიშს საატესტაციო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ, ამოწმებს ატესტაციას დაქვემდებარებული პირის პროფესიულ დონესა და კვალიფიკაციას დადგენილ თემატიკასა და სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებულ საკითხებში. ატესტაციის დროს მოხელესთან გასაუბრების პროცესს შეიძლება დაესწროს იმ სტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელი, რომელშიც მოხელე მუშაობს.

ატესტაციას დაქვემდებარებული პირის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება შემდეგი პრინციპით მოხდება, კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.

კომისია ვალდებულია, თითოეული ატესტაციას დაქვემდებარებული პირის ატესტაციის შედეგების შესახებ მოამზადოს დასკვნა. დასკვნა ფორმდება სხდომის ოქმით და მას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები. ატესტაციის შედეგები შეტანილ უნდა იქნეს საატესტაციო ფურცელში, რომელიც ივსება ერთ ეგზემპლარად და დახასიათებებთან ერთად ერთვის ატესტაციას დაქვემდებარებული პირის პირად საქმეს. საატესტაციო ფურცელს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები. ატესტაციას დაქვემდებარებული პირი საატესტაციო ფურცელს ეცნობა და ხელს აწერს მისი შევსებიდან 2 სამუშაო დღეში. კომისია დაწესებულების ხელმძღვანელს მოახსენებს ატესტაციის შედეგებს, ატესტაციის პროცესის დასრულებიდან ერთ კვირაში. დაწესებულების ხელმძღვანელი, კომისიის დასკვნისა და რეკომენდაციის საფუძველზე, ატესტაციის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, იღებს გადაწყვეტილებას, მოხელის პირად საქმეში ასახვით, მოხელისათვის სპეციალური წოდების ან/და საკლასო ჩინის მინიჭების, მოხელის დაწინაურების, მოხელის კვალიფიკაციის ამაღლების, მოხელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ან მოხელის მიმართ ატესტაციის შედეგის პირად საქმეში ასახვის შესახებ (იმ შემთხვევაში, თუ მოხელე შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას). კომისია, ატესტაციის დასრულებიდან (გადაწყვეტილების მიღებიდან) ერთ კვირაში, ბიუროში წარადგენს ინფორმაციას ჩატარებული ატესტაციის და მისი შედეგების შესახებ.

ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს უფლება აქვს, ატესტაციის შედეგები გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში (მისი არსებობის შემთხვევაში), ხოლო შემდეგ — სასამართლოში, ან არ გამოიყენოს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება და ატესტაციის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული საჩივარი წარადგინოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოში. ატესტაციის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული დავა, დაწესებულებაში საპრეტენზიო კომისიის არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია გადაწყდეს ადმინისტრაციული წესით, უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით.

ატესტაცია არის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოხელის სამსახურებრივი საქმიანობის, პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პირადული თვისებების შესაბამისობის შეფასება დაკავებული ან დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან. ატესტაციას ექვემდებარება: ა) მოხელე, 3 წელიწადში ერთხელ (საატესტაციო პერიოდი); ბ) კანდიდატი, მოხელის თანამდებობაზე, თუ თანამდებობა კონკურსის წესით უნდა დაიკავოს.

ატესტაციას არ ექვემდებარება: ა) მოხელე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს ან ირჩევს შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები; ბ) მოხელე, რომელიც სამსახურში მიიღება განსაზღვრული ვადით. მოხელე, რომელიც საატესტაციო პერიოდის ბოლო წლის განმავლობაში სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა 6 თვეზე ნაკლები ვადით, ატესტაციას ექვემდებარება მომავალ წელს. მოხელე, რომელსაც საატესტაციო პერიოდში, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით, შეჩერებული აქვს სამსახურებრივი ურთიერთობა, ატესტაციას ექვემდებარება მომავალ წელს.

ქარსაცავ ზოლებზე ხანძრის შემთხვევები გახშირდა

დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო სამსახურის ინფორმაციით, ბოლო პერიოდში დედოფლისწყაროში ქარსაცავ ზოლებზე ხანძრის შემთხვევები გახშირდა. სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი მკერვალიძის განცხადებით, ამის მიზეზი მოსახლეობის დაუდევრობაა, რომელსაც ისინი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე ბალახის წვის დროს იჩენენ.

„თითქმის ყოველდღე გვაქვს გამოძახება ქარსაცავი ზოლების ხანძრებზე. დღესაც გავიდა ჩვენი ბრიგადა, ელიას მთაზე იწვოდა ქარსაცავი ზოლი. მარტო ამ თვეში 56 გასვლა გვქონდა, მათ შორის ქარსაცავი ზოლის ხანძრებზეც. ნაკვეთებს მოსახნავად ამზადებს ხალხი და ბალახს რომ წვავენ, იქიდან ვრცელდება ცეცხლი ქარსაცავებზეც, მრავალი გაფრთხილების მიუხედავად იგივეს აკეთებენ. ნაკვეთი გარშემო შემოხნული უნდა იყოს, რომ ცეცხლი არ გავრცელდეს“, - განაცხადა გიორგი მკერვალიძემ.

ქარსაცავი ზოლების განადგურება კლიმატის ცვლილებას და მიწის გაუდაბნოებას იწვევს. რეგიონში არსებული ქარსაცავი ზოლები წლების წინ სრულიად განადგურდა. თითქმის 30% სასოფლო-სამეურნეო მიწების გაუდაბნოების გამო უნაყოფოა. 100%—ით არის გამხმარი შირაქის ტერიტორიაზე ქარსაცავი ზოლის გაშენების მიზნით დარგული ნერგები, რაზედაც რამდენიმე მილიონი დაიხარჯა.

მოჯადოებული წრე, რომელსაც თავს ვერ ვაღწევთ

(პირველი გვერდიდან)

მზესუმზირა პირწმინდადაა გადაძოვილი, თუ სადმე მზესუმზირის თავი იყო, სულ შეჭმულია, ასე გადააძოვეს ჩემი ოცი ჰექტარი, გენადი შიოლაშვილის 22 ჰექტარი, ტარიელ ნატროშვილის 6 ჰექტარი და სხვა კიდევ ბევრის მზესუმზირა. წელს რომ ხალხმა თავი ჩააკლა ხვნა-თესვას, ბოლო 20-23 წელია, არ მინახავს, მე თავად თესვის დროსაც სასუქი მივეცი, შემდეგ ჰერბიციდთან ერთად თხევადი სასუქიც შევიტანე, ამიტომ ამინდის ჭირვეულობის მიუხედავად, იმედი მქონდა ,დანახარჯს მაინც ავინაზღაურებდი, თუ მოგებას ვერ ვნახავდი, მაგრამ ისეა გადაძოვილი 20 ჰექტარი, მზესუმზირის ერთ კალათსაც ვერ იპოვით, ნაკვეთი სავსეა ძროხის, ცხენის ,ვირის ნანეხვარით, გადათქერილია ფლოქვებით. როგორც ჩანს, მთელი ღავე აძოვებდნენ გულდაგულ, არავის შერჩა სინდისი და ცოდვა-მადლი მეორე ადამიანის მიმართ. ოჯახდაქცეულო, შენ რომ ერთჯერადად შენს პირუტყვს გამოკვებავ და არ იფიქრებ იმაზე, მისმა პატრონმა რამხელა ენერგია ჩადო, რამდენი ხარჯი გაიღო და ვაი- ვაგლახით მოყვანილ მთელი წლის სარჩოს უნადგურებ, ადამიანი გქვია შენ?! ახლა ყველა პირჯვარს იწერს და ღმერთს თავს აცოდებს. ასეთ ვანდარულ ცოდვას უფალი როგორ გაპატიებს?

ამ ფაქტით შეძრწუნებულმა (არამარტო მე, სხვებმაც) პოლიციას მივმართე, ერთ-ერთი მოადგილე დამხვდა ადგილზე, შენუხდა, ცუდი საქმე მოგსვლიათო, თან “მანუგეშა”, მარტო თქვენ არ ხართ, სხვაც ბევრი დააზარალესო. ბავშვობაში ხშირად გაგონილი, ერთი სანუგეშებელი ფრაზა გამახსენდა: „დედი, ნუ დარდობ, განა მარტო ჩვენი ვირი შეჭამა მგელმა, ნუცა ძალოანთიცო!” დიდი შეღავათია! ხოდა სხვა დაზარალებულებიც რომ მრავლად არსებობენ, იმიტომ არის ეს პრობლემა ყურადსაღები და სწრაფად მოსაგვარებელი, მაგრამ რა?!

პოლიციიდან ორი პოლიციელი გამაყოლეს, მათ პირნათლად შეასრულეს თავისი მოვალეობა, დააფიქსირეს, რომ ნაკვეთი ასი პროცენტით განადგურებულია, ნაკვეთის მიმდებარედ განთავსებული ორი-სამი ე.წ.ფერმა მოვინახულეთ. იქ მყოფი აზერბაიჯანელი მწყემსები დატუქსეს: „ამას რად აკეთებთ, ნაკვეთებში რატომ შეგყავთ საქონელი, რატომ აძოვებთო, მერე გამაფრთხილებელი აქტი შეადგინეს, ხელი მოაწერებინეს და თავისი მისია ამოწურეს.მწყემსები, რა თქმა უნდა, გულზე ხელდადებულები ალაჰს იფიცავდნენ, რომ პირნათელნი არიან, ისინი არ აძოვებენ ნათესებში და არც ქარსაფარებს ანადგურებენ. ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს, გინდ დაიჯერეთ, გინდა არა- პოლიციას მეტი უფლება არა აქვს- დღეში ორჯერაც რომ მოატანოს საქონელი ნაკვეთში, არც დაჯარიმების და არც საქმის აღძვრის უფლება არ ჰქონია. შედგენილი აქტების, ფაქტის დამადასტურებელი ფოტოების,აუდიტის მიერ შეფასებული ზარალის დოკუმენტის თანხლებით, მოქალაქეს შეუძლია, სამოქალაქო სამართლის წესით საქმე აღძრას სასამართლოში, წინასწარ შეიტანოს ბაჟი. შეგახსენებთ, რომ რაიონში სასამართლო არ გვაქვს, პროცესებზე სიღნაღში მოუწევს სიარული, ეს იქნება დაუსრულებელი პროცესი, თითქმის მიუღწევადია, ვინმეს ზარალის ანაზღაურება დაეკისროს და აღსრულდეს. თვით მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა საშუალებას, დაზარალებულმა შედეგი მიიღოს, ამიტომ ხელჩაქნეულია ყველა. დაუსჯელობით წათამამებული მწყემსები კი არად დაგიდევენ დაზარალდებით და ინერვიულებთ,თუ არა. სათქმელსაც ვერ ეტყვი. „გურჯუ დილი ბილმირემ” (ქართული ენა არ ვიცი), მოგიგებს უტიფრად, თითქოს საქართველოში დაბადებული და გაზრდილი არ იყოს. ახია ჩვენზე, ქართველ კაცს ფერმაში წასვლა და საქონლის მოვლა არ ეკადრება, ის მშიერ-მწყურვალი საუბნო ბირჟაზე უნდა იჯდეს და დომინო ითამაშოს, დროის გაყვანის და გულის გადაყოლების მიზნით.

ის, რომ საძოვრის გარეშე ფერმა არ უნდა არსებობდეს, ცხადზე ცხადია.ამას არც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა უარყოფს. გასული წლის ათ მაისს საკრებულომ მიიღო დადგენილება, №8 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქარსაფარი ზოლების დაცვის, სახნავ ფართობებში და მრავალწლიან ნარგავებში არსებული შენობა-ნაგებობების გამოყენების კანონიერების შესახებ, რომელიც ადგენს: გაყვანილ იქნეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახნავ-ფართობებსა და დასახლებულ პუნქტებში უნებართვოდ ადაფტირებულ არამიზნობრივად გამოყენებულ შენობა-ნაგებობებში განთავსებული პირუტყვი მეპატრონეთა ხარჯებით, დადგენილების ზალაში შესვლიდან, (1მაისი) ერთ თვეში გამგეობიდან მიღებული გაფრთხილების საფუძველზე, მეპატრონემ ნებაყოფლებით უნდა გაიყვანოს პირუტყვი, წინააღმდეგ შემთხვევაში გამგეობის შესაბამისი სამსახურის მეშვეობით და პოლიციის დახმარებით (კომპეტენციის ფარგლებში) პირუტყვის იძულებით გაყვანის ღონისძიებები უნდა გატარდეს.

მას მერე თითქმის წელიწადნახევარი გავიდა. რა გაკეთდა? დარიგდა შეტყობინებები და მეტი არაფერი. მდგომარეობა უცვლელია, არც პერსპექტივა ჩანს.

აღნიშნულ საკითხზე მუნიციპალიტეტის გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს კომენტარი ვთხოვეთ: “ეს პრობლემა ჩვენთვის ცნობილია. გუბერნიაში მომზადდა ინიციატივა ზედამხედველობის სამსახურის მიერ,ფიზიკური და იურიდიული პირების კერძო მფლობელობაში არსებული ქონების დაცვის თაობაზე. ინიციატივის კანონად ჩამოყალიბება ძალიან შეგვიწყობს ხელს ქმედუნარიანი გახდეს ჩვენი ზედამხედველობის სამსახური, მოგვეცემა დაჯარიმების უფლება, რაც შეზღუდავს პირუტყვის მეპატრონეს, დააზიანოს სახნავ-სათესი ფართობები, ნათესები. როცა კვირაში ორჯერ დაჯარიმებენ 500 და 1000 ლარით, კეთილს ინებებს და ას თვალსა და ყურს გამოიბამს.

-ბატონო ნიკა, გვალვამ ერთიანად გაანადგურა მოსავალი და დააზარალა ჩვენი მოსახლეობა ,რა შეღავათებზე მუშაობთ, რის მოლოდინი შეიძლება გვქონდეს?

-წელს ძალიან რთული წელია, ჩვენ, საგარეჯოს და სიღნაღის მუნიციპალიტეტები გვალვამ დაგვაზიანა, ზოგ რაიონებში წყალდიდობები და მეწყერები იყო. ზარალი და მასთან დაკავშირებული სამუშაოები მოცულობითია, ის, რაც ჩვენზე იყო დამოკიდებული გუბერნიის დონეზე სრულად დამუშავებულია და შესაბამის უწყებებშია წარდგენილი, ახლა დასაანგარიშებელია, რამდენია ზარალი. რა მოცულობის დოტაცია დაგვჭირდება, რომ არ შეგვიჩერდეს ის პროექტები, რომლებიც დაგეგმილია მიმდინარე წელს. არ გაირღვეს ჩვენი ბიუჯეტი და არ გაგვიჩნდეს დეფიციტი,-არ დაგვრჩნენ უხელფასოდ მოსამსახურეები, მშივრები საბავშვო ბაღის ბავშვები, ნაგავმა არ წაგვლეკოს, შევძლოთ სოციალური დახმარებები მიიღონ ადამიანებმა, რომლებსაც ეს აუცილებლად სჭირდებათ და სხვა. ჩვენ მოლოდინის რეჟიმში ვართ და ვვარაუდობთ მიწის გადასახადიდან გათავისუფლებას.

ეს დიდი შეღავათი იქნება ჩვენი ხალხისთვის და მადლიერი დარჩება. ეს გვალვა ხომ არც მთავრობის და არც ხალხის ბრალი არ არის.

ნაირა გორაშვილი

მაქვს ბევრი ახალი ხედვა...

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურს ახალი უფროსი ჰყავს, ის 27 წლის ნონა ნატროშვილია. ნონა ნატროშვილი დაიბადა 1987 წლის 25 აგვისტოს, დაამთავრა დედოფლისწყაროს N 1 საჯარო სკოლა, იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 2007 წელს დაამთავრა, ამავე წელს ჩაირიცხა საქართველოს დიპლომატიურ აკადემიაში საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 2009 წელს. ამავე წლიდან, იგი მუშაობას იწყებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ჰუმანიტარულ კოლეჯში, სამართალმცოდნეობის ლექტორ-პედაგოგად, პარალელურად ასწავლის N1 საჯარო სკოლაში სამოქალაქო განათლებას, ამავე საგანს ასწავლიდა კერძო სკოლა „ბენაურში". 2013 წლის ივნისიდან მუშაობას აგრძელებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. 2014 წლის 5 აგვისტოდან ნონა ნატროშვილი მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსის თანამდებობას იკავებს. თუ როგორ გამოიყურება ამჟამინდელი გამგეობის სოციალური დახმარების პაკეტი, როგორია ახლადდანიშნული უფროსის ხედვა და რა ცვლილებების შეტანას გეგმავს იგი, ამასთან დაკავშირებით თავად მას ვესაუბრეთ:

- ნონა, როგორია დღევანდელი სოციალური დახმარების პაკეტი, რა კატეგორიის ხალხის დახმარებას ითვალისწინებს და თქვენ, როგორც ახლადდანიშნული უფროსი , რა ცვლილებებს გეგმავთ?

- ამჟამად ჩვენ ვეხმარებით ისეთ ოჯახებს, რომლებიც ჩვენი სამსახურის მიერ განსაზღვრულ კატეგორიებს შეესაბამებიან და, რაც მთავარია, რომელთა ოჯახების სოციალური სააგენტოს მიერ განსაზღვრული ქულათა ოდენობა 150 ათასზე ნაკლებია. ცხადია, დახმარების გადაწყვეტილებას იღებს ჩვენს სამსახურში შექმნილი სპეციალური კომისია. რაც შეეხება კატეგორიებს, განსაზღვრულია შემდეგი სახის კატეგორიები: უპირველესად ვთვლით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახებს და პირველი ჯგუფის ინვალიდებს, ასევე ვეხმარებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, რომლებიც არიან 18 წლამდე ასაკის, განსაზღვრული გვაქვს ასეთი კატეგორიაც, ობოლ და მარჩენალდაკარგულ ბავშვთა ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ერთი ბავშვი მაინც.

რა თქმა უნდა, ვეხმარებით მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ ოთხი და ოთხზე მეტი შვილი და ერთი მაინცაა არასრულწლოვანი, გვყავს ასეთი კატეგორიაც,- მარტოხელა დედები, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის ერთი არასრულწლოვანი შვილი მაინც,- აი, ამ კატეგორიის ოჯახებს ვურიცხავთ ელექროენერგიის გადასახადს ყოველთვიურად. ასევე, ჩვენგან ერთჯერადად ფინანსდებიან ახალშობილები. მშობლები, რომელთა ასაკიც 25 წელს ქვემოთაა, წახალისების მიზნით იღებენ 400 ლარს, ხოლო ახლადდაბადებული ბავშვის მშობლები, რომლებიც 25 წელს ზემოთ არიან -300 ლარს. ასევე ვეხმარებით ხანძრით, მიწისძვრით და ბუნებრივი კატასტროფებით და სხვა განსაკუთრებული შემთხვევით დაზარალებულ უსახლკარო ოჯახებს, რომლის ავარიული სახლი საფრთხეს უქმნის ოჯახის წევრების სიცოცხლეს, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ბინის ქირის გადასახადით უზრუნველყოფს ასეთ ოჯახებს. აღნიშნული დახმარებები ეხებათ მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის იმ ოჯახებს, რომელთა სოციალური სააგენტოს მიერ განსაზღვრული სარეიტინგო ქულათა ოდენობა 150 ათასზე ქვემოთაა. არ მინდა გამომრჩეს, უპატრონო მიცვალებულები და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მებრძოლებისა თუ ვეტერანების ოჯახები; 100 და 100 წელს გადაცილებულები-როცა ასი წელი უსრულდებათ, გამგეობა მათ 200 ლარს ჩუქნის. ხოლო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახებს 1000 ლარით ვეხმარებით.

- რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, თუ გეგმავთ ცვლილებები შეიტანოთ სოციალურ პაკეტში?

- ვაპირებ ცვლილებები შევიტანო წესდებაში და უფრო დავხვეწო ის, ვიდრე დღეს არის წარმოდგენილი. მაქვს ბევრი ახალი ხედვა, თუნდაც უსახლკაროებზე, მსურს უფრო მეტად მიეხედოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე ოჯახებს . ორიენტირებული ვარ აქცენტი გავაკეთო სოციალურ ფონზე და სწორად გამოვკვეთო სოციალური დახმარების პრიორიტეტები, უკეთ უნდა განვსაზღვრო ის, თუ რა უნდა იყოს და რა არა! დანარჩენს უკვე საქმე და მომავალი გვიჩვენებს.

- გმადლობთ, წარმატებებს გისურვებთ!

ლალი მეხრიშვილი

ვაკანსია საგანმანათლებლო რესურსცენტრში

განათლების და მეცნიერების სამინისტრომ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსი გამოაცხადა. მსურველთა განაცხადის წარდგენის ვადა მიმდინარე წლის 7 სექტემბერს იწურება.

გამოსაცდელ ვადად სამი თვე განისაზღვრა, ხოლო თანამდებობრივი სარგო 1030 ლარს შეადგენს.

კონკურსი სამ ეტაპად გაიმართება, განცხადებების გადარჩევა, ტესტირება და გასაუბრება. კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით მიიღებს აპლიკაციების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

კონკურსში მონაწილეობა თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა იმ მოქალაქისთვის, რომელიც „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი ვებ-გვერდზე WWW.HR.GOV.GE მიმდინარე წლის 7 სექტემბრამდე.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის თანამდებობა მიხეილ ბახუტაშვილმა მას შემდეგ დატოვა, რაც საკრებულოს დეპუტატი გახდა, მოგვიანებით კი ის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს.

„კანონის მოთხოვნაა, რომ რადგან საკრებულოში თანამდებობაზე ამირჩიეს, დაუშვებელია პარალელურად სხვა თანამდებობას ვიკავებდე. დავწერე განცხადება და რესურსცენტრის უფროსის ადგილი დავტოვე. თუმცა, საკრებულოს ის კომისია, რომელიც მე მაბარია, ამავე სფეროებში მუშაობას მავალდებულებს," — განუცხადა ქიზიყი.გე-ს მიხეილ ბახუტაშვილმა.

ბახუტაშვილმა რესურსცენტრის ხელმძღვანელის კონკურსი 2013 წლის მაისში მოიგო, იმხანად კონკურსში მასთან ერთად მაია ქართველიშვილიც მონაწილეობდა, რომელმაც ბარიერის გადალახვა ვერ მოახერხა.

ილია მარტყოფლიშვილი

საკადრო ცვლილებები

დედოფლისწყაროს დასუფთავების სამსახურს შპს „სერვისი 2007"-ს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ამ თანამდებობაზე სოსო უზუნაშვილი დაინიშნა, რომელიც მანამდე ამავე სამსახურში უფროსის მოადგილედ მუშაობდა. შეგახსენებთ, ნაციონალური მოძრაობის პერიოდში უზუნაშვილი ქალაქ დედოფლისწყაროს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის თანამდებობას იკავებდა.

სამსახურის უფროსის სავარძელი მას შემდეგ გათავისუფლდა, რაც ელიზბარ ალუღიშვილი დედოფლისწყაროს სამხედრო საღრიცხვო სამსახურის უფროსად გადაიყვანეს.

დასუფთავების სამსახურის ახალი უფროსის სოსო უზუნაშვილის მოადგილე ყოფილი პროკურორი დავით დუღაშვილი იქნება. ნაციონალების დროს ის სახანძრო განყოფილების უფროსი გახლდათ.

ხანძრის 41 შემთხვევა დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროში ხანძრის შემთხვევებმა იმატა. მიმდინარე წლის ზაფხულის სეზონზე 20 აგვისტოს მონაცემებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ხანძრის 41 შემთხვევა დაფიქსირდა.

როგორც დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა „შირაქს" განუცხადა, ეს მონაცემები გასული წლების მაჩვენებელს ბევრად აღემატება, თუმცა ხანძრების უმრავლესობა მინდვრად დაფიქსირდა და საცხოვრებელი სახლების დაწვის შემთხვევები არ არის.

„ხშირი კომუნიკაცია მაქვს სახანძრო-სამაშველო სამსახურთან. გამართულია ტექნიკა და სამსახური მზადაა ოპერატიულად ებრძოლოს სტიქიას. ყველა შემთხვევაში დროული რეაგირება ხდება, საბედნიეროდ, სერიოზული ხანძარი, ან დიდი ზარალი არ გვქონია," — აღნიშნა გამგებელმა.

შეგახსენებთ, სახანძრო-სამაშველო სამსახურის ავტოპარკს ახალი ავტომანქანები რამდენიმე წლის წინ გადაეცა.

სამთაწყაროში საპროტესტო აქციის ჩატარება არ დასტურდება

სოფელ სამთაწყაროში გამგებლის წარმომადგენელი გულო ნადირაშვილი კატეგორიულად უარყოფს „ინტერპრესნიუსის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს სოფელში საპროტესტო აქცია გაიმართა. მისი თქმით, სეზონზე ყოველთვის ხალხმრავლობაა, რაც საპროტესტო აქციის გამართვას არ ნიშნავს.

„ეს სოფლის ცენტრია და ყოველ წელს, რთველის მიმდინარეობის დროს, პროცესის დასრულებამდე მთელი სოფელი ისედაც აქ იყრის თავს. საპროტესტო აქცია კი არ იყო, მყიდველი და გამყიდველი ერთმანეთს ხვდებიან. ხვალ, ან ზეგ, როცა კამერები და ჟურნალისტები არ იქნებიან, შეგიძლიათ მაშინ ჩამოხვიდეთ და ნახავთ, რომ აქ ყოველდღიურად ეს ვითარება და ხალხმრავლობაა. როგორ შეიძლება ამას საპროტესტო აქცია დაარქვა. არც ხმაური ყოფილა, არც გზა გადაუკეტავს ვინმეს და არაფერი. ალბათ, ჟურნალისტებმა გააზვიადეს. რთველი მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს, არანაირი შეფერხება არ არის," — აღნიშნავს გულო ნადირაშვილი.

სამთაწყაროელები ამბობენ, რომ სოფელში ვენახების ნაწილის მორწყვა ხერხდება, ნაწილი კი სარწყავი სისტემების მოშლის გამო მოურწყავია. მათი მტკიცებით სამთაწყაროში 250 ჰა ვენახის მორწყვა ვერ ხერხდება, სადაც დაბალი მოსავლიანობაა. ასეთ ადგილებში გვალვამ მოსავალი გაანადგურა, ადგილობრივები კომპენსაციას ითხოვენ.

გაუცნობიერებელი ნაბიჯი და ბავშვების სევდიანი თვალები

რ ა ტ ო მ ი ნ გ რ ე ვ ა ო ჯ ა ხ ე ბ ი ?!

საქართველოში ყოველდღიურად უამრავი ოჯახი ინგრევა. რატომ გახშირდა ასე ძალიან ოჯახების დანგრევა და რა იწვევს ამ მდგომარეობას, ეს საკითხი კვლავ იწვევს კამათს. იმასაც ამბობენ, „სხვა სხვის ომში ბრძენიაო“, სხვას წარმოდგენა არ აქვს , თუ რა ტკივილს განიცდის ამ დროს ნებისმიერი მხარე, როცა ოჯახის დანგრევის ფაქტის წინაშე დგებიან და ხვდებიან, რომ ეს პროცესი გარდაუვალია, რომ მათი სიმშვიდისთვის და მომავლისთვის ასე უმჯობესია, მით უმეტეს, რომ ეს დაშორება თანდათან უფრო მტკივნეული და აუტანელი ხდება. იციან, არ ღირს ოჯახის დანგრევა, თუ იცი, რომ შენს შვილებს იმ დიდ სიამოვნებას და კომფორტს აცლი ხელიდან, რასაც მშობლების: დედის და მამის ერთობლივი სიყვარული ქვია, თუმცა გააჩნია ჩარჩოებს და ზღვრებს, თუ ეს ყველაფერი ერთ-ერთი მხარის უდიდესი მსხვერპლის გაღების ფასად ჯდება, არც შვილებისთვის ღირს სამომავლოდ ყალბი, მოჩვენებითი ოჯახური „სიამტკბილობის“ შენარჩუნება. იქნებ დავასახელოთ ერთი რომელიმე ფაქტი, სადაც ნორმალური განვითარების ადამიანს, ოჯახის წევრს, მიზნად აქვს დასახული, დიდი ოცნებით შექმნილი ოჯახი ერთი ხელის მოსმით დაანგრიოს?! სინამდვილეში არცერთ მშობელს არ სურს ააწიოკოს შვილები და გაიღოს ამხელა მსხვერპლი, თუ ამ ყველაფერს მართლაც სერიოზული საფუძველი არ აქვს?! მაშ რა არის ისეთი, რაც უამრავ ლამაზ ოჯახს შთანთქავს და უფსკრულის პირას აყენებს?! რა ხდება ორ ადამიანს შორის, რა მიზეზი ედება საფუძვლად და რა მაგია იბრძვის იმისთვის, რომ ადამიანებს მაინცდამაინც დაშორებით გამოწვეული ტკივილი მიადგეთ?!

ოჯახური უთანხმოების და შემდეგ მისი დანგრევის საფუძველი ეკონომიკური სიდუხჭირე, სიამაყე, უშვილობა, ოჯახური ძალადობა, ღალატი და კიდევ უამრავი წვრილმანი ფაქტორი იწვევს. მაგრამ ყველას დაგვავიწყდა სიყვარული და მისი დეფიციტი ,რომელიც ორ ადამიანს შორის გარკვეული თანაცხოვრობის შემდეგ იჩენს ხოლმე თავს. საეკლესიო პირებს თუ დავეკითხებით, ყველაფრის საწყისი ბოროტება და სიძულვილია, თუ ორი ადამიანი ერთმანეთის სიძულვილით აივსო და ერთმანეთთან ყოფნის არანაირი სურვილი არ აქვთ, ველარ ახერხებენ ურთიერთობის აწყობას. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ ყველაფერს წერტილი უნდა დაესვას.

დღეს უკვე ძალიან მოდური გახდა ის, რომ მეუღლეები ძალიან მარტივად, პატარა წყენაზეც კი, ყოველგვარი ფიქრის გარეშე წვეტენ დაშორების საკითხს და ეს ცივილიზებული ჰგონიათ. ვერ ეწყობი?-რა პრობლემაა, რატომ უნდა შევალიო ცხოვრების საუკეთესო წლები არაფრისმთქმელ ცხოვრებას, დავშორდები!- აი, უპირველესი და დაუფიქრებელი გადაწყვეტილება! რამდენად მომგებიანია ეს შვილებისთვის, ეს ცალკე თემაა!

რა ხდება იმ დროს, როდესაც შვილები დედის და მამის განცალკევებულ ცხოვრების მომსწრენი ხდებიან?! ამ დროს ბავშვები გულდაწყვეტილები უყურებენ სხვა მშობლებისგან მზრუნველობით განებივრებულ პატარებს და იჩაგრებიან. ეკლესია გვიქადაგებს, რომ მოთმინებით მოვეკიდოთ ყველა საკითხს, მით უმეტეს, თუ ეს ოჯახს ეხება და გამოვიჩინოთ დიდი სულგრძელობა, რადგან ოჯახი უწმინდესი მონაპოვარია. თუმცა, ვისთვის როგორ, თუ მეორე ნახევარი ღალატს, ცემას ან დამცირებას მიმართავს, აქ ოჯახურ სიწმინდე უკვე აღარაა მოსატანი. ისიც გასარკვევია, რა სჯობია ბავშვებისთვის, ორივე მშობელი ჰყავდეს და ისმინოს მათი გაუთავებელი შეუთავსებლობა, ჩხუბი, ყვირილი, კამათი, ცემა, თუ იცხოვრონ ამ აურზაურისგან განცალკევებულად, მშვიდ გარემოში, სადაც შეიძლება ბევრი რამეც მოაკლდეთ, მაგრამ ჰქონდეთ სიმშვიდე?!

ოჯახური ურთიერთობების თემაზე გაზეთმა „შირაქმა“ მრგვალი მაგიდა მოაწყო და რამდენიმე ქალბატონი მოიწვია, რომელიც ოჯახის დანგრევის ფაქტის წინაშე გარკვეულმა პირობებმა უკვე ჩააყენა. მართალია ისინი თავისი ვინაობის დაკონკრეტების კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ იმისთვის, რომ მათი გულწრფელი საუბარი მოგვესმინა, ჩვენ ვალდებულება ავიღეთ, მათი ანონიმურობა გადვეცვა.

- გოგოებო დარწმუნებული ვარ, ყველა თქვენგანმა ოჯახი დიდი სიყვარულით შექმენით, მჯერა, იმის, რომ არცერთ თქვენგანს არ და ვერ წარმოგედგინათ, რომ ამ ეტაპამდე მივიდოდა თქვენი ურთიერთობა, რომ ოჯახი დაგენგრიათ. თქვენი აზრით რა ხდება მაინც ასეთი, სად დაუშვით შეცდომა და როგორ უნდა მოვიქცეთ რომ მყარი, ქართული, მართლმადიდებლური ოჯახი შევქმნათ და შევინარჩუნოთ?

- მართლაც აქ ვინც ვსხედვართ, ყველას ვიცი, რომ დიდი სიყვარული გვაკავშირებდა ჩვენს მეუღლეებთან, თუმცა დღეს ამ საკითხზე საუბარი და გარჩევაც გვიწევს. ცხადია ტავიდანვე გვქონდა გაცნობიერებული, რომ ოჯახი ასე ადვილი რამ არაა, სადაც ყველაფერი ერტი ხელის გაწვდენაზეა, ვიცოდით, რომ ზალიან დიდ სირთულეებსაც შევხვდებოდით, მაგრამ ცხოვრება„ სიურპრიზებითაა” სავსე, ისეთ მოულოდნელობებსაც გიმზადებს, რომლისთვისაც არც მზად ხარ და ვერც შენი თავმოყვარეობის გამო ვერ გადააბიჯებ. მე პირადად მეუღლესტან შეუღლებდან ერთი ორი წლის გასვლის შემდეგ თანდათან გამიჩნდა განცდა იმის, რომ მისთვის მეც და ბავშვებიც დიდ აღარაფერს წარმოვადგენდით, კაცს, რომელსაც ჩემზე არარ მაქვს საუბარი, შვილებიც აღარ აღელვებს, ეს ქალისთვის დიდი ტრაგედიაა, ეს ყოველდღიურობაში ძალიან ძნელი გადასატანი და გადასალახია შენი საყვარელი მამაკაცისგან.

- მაინც რა ხდება ისეთი, რომ ქმარს ცოლ-შვილი აღარ აინტერესებს, იქნებ სხვანაირი მიდგომისთვის უნდა მოგემართა?!

- არა, ამას გამართლება არ აქვსს, როგორც გინდა მოვქცეულიყავი,, სულ ერთი იყო მისთვის, გამიკეთებია სიურპრიზიც და შევცლილვარ კიდეც, უფრო მოსიყვარულეც გავმხდარვარ, მაგრამ ტყუილად დამიმცირებია თავი. მამაკაცი, რომელიც თვეობით მიდიოდა და იკარგებოდა და შენ სიმარტოვეს გაგრძნობინებდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მას შენს მიმართ აღარანაირი გრძნობა აღარ გააჩნია. ამას ვინ ჩივის, მას შვილებზე პასუხისმგებლობაც ქონდა მოხსნილი, საერთოდ არ უნდოდა გაეგო, რა სჭირდებოდათ მის შვილებს, ან ის, რომ მათ მამამ ენატრებოდათ. მაგრამ აქვე ვიტყვი იმასაც, რომ დედამთილ-მამამთილის ფაქტორიც აქ ბევრს თამაშობდა, ვუერთდები იმ აზრს, რომ ახალგაზრდა ოჯახმა ცალკე უნდა იცხვრონ ყველასგან.

- ამაში ვერ დაგეთანხმებით, მე ჩემი ახალი ოჯახით დედამთილ-მამამთილის გარეშე ვცხოვრობდი, ძალიან კარგადაც ვეწყობოდით, მაგრამ როცა ოჯახური სიდუხჭირის გამო მეუღლე სამუშაოდ წავიდა, იქ ვიღაც თავისზე ბევრად უფროს ქალს გადაეკიდა, ისე, რომ პირდაპირ დამირეკა და მითხრა, ნუღარ დამელოდებით, აღარ მინდიხართოო! ასე დავრჩი ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზებით მარტო ორი შვილით, ჩემი მომხმარებელი არავინაა, მშობლებიც თითქოს თვალში თითს მაჭერენ, მიზეზებს ტავშივე ეზებენ და არჩევანს მიწუნებენ. არ ვიცი, წინდაწინ ვერაფერს განსაზღვრი, მაშინ ვთვლიდი, რომ ის იყო ჩემი ოცნების მამაკაცი, მაგრამ მისგან ასეთ ღალატს და მიტოვებას ვერ წარმოვიდგენდი. ასეთი იყო ალბათ ჩემი საზიდი ჯვარი, მძიმე და დამთრგუნველი.

- მე კი მეუღლის ეჭვიანობამ მომიღო ბოლო, ამისთვის მისგან უამრავ შეურანყოფას და დამცირებას ვიტანდი, რამდენჯერმე საშინლად მცემა და მშობლებთან წავედი, უპატიებელი ფაქტია, მაგრამ ორი შვილი მყავს და ბავშვებს მამა ისე ენატრებოდათ, ვიფიქრე ერთ შანსს კიდევ მივცემ-მეთქი, თუმცა ეს შანსი და პატიება ტყუილი ამბავი ყოფილა, ადამიანი თუ ერთხელ გააკეთებს ამას, რაც მეტჯერ აპატიებ, უარესს იზამს. იცის, რომ აპატიებენ და ეგ არის მისი „კოზირი“. ვეთანხმები იმას, რომ შვილებს მამის სიყვარულით მიღებული სიხარული და ბედნიერება არაფრით არ უნდა წაართვა და ეს ყველაზე დიდი სიმდიდრეა, მაგრამ არის რაღაცეები, რასაც შენი თავმოყვარეობის გამო ველარ გადააბიჯებ. მეც მივიღე გადაწყვეტილება და დავშორდი. დღესდღეობით მდგმურად ვცხოვრობ ორი შვილით.

- შეიძლება ქმარმა მიგატოვოს, მაგრამ როცა გარეშე პირებისგან ცალკე ცხოვრობთ, ამ ფაქტსაც ვერავის დააბრალებ და იცი, რომ პრობლემა თქვენში, ორში უნდა ეძებო, ეს ყველაზე უფრო კარგი ვარიანტია, იმასთან შედარებით, ვიდრე იცი, რომ მეუღლე თავის სიმაღლეზე არ დგას, არ ესმის თავისი მეორე ნახევრის ან შვილის ფასი. ასე, მოხდა ჩემს შემთხვევაშიც. მეუღლეს, რომელსაც თავდავიწყებით ვუყვარდი და რომელსაც მთელი ჩემი ბავშვობა შევწირე, აღმოჩნდა, რომ გამუდმებით დედის სიტყვაზე დადიოდა, რომელსაც დასანახად ვძულდი. თავდაპირველად ის არ უსმენდა დეადს, მაგრამ ბოლოს იმდენს მიაღწია, რომ სიძულვილი ასწავლა. როცა ქალი ოჯახში მეუღლესთან ერტად ცხოვრობს და ამ დროს მეუღლე არათუ თვალებში შემოგციცინებს, არამედ გვერდით ყევხარ და ზედ აღარ გიყურებს, იქ, უკვე ზედმეტია საუბარი ერტად ცხოვრებაზე, ამ დროს ყველაზე კარგი ვაიანტი იქაურობისგან გარიდებაა, ასე დავშორდით ჩვენც და ეს მისთვის მტკივნეული სულაც არ ყოფილა.

- მე მხოლოდ იმას ვიტყოდი, რომ ქალებს ძლიერი მამაკაცები გვხიბლავს, ისეთები, რომლებიც მეუღლეებს ნამდვილ სიყვარულს და ყურადღებას აგრძნობინებენ და მისთვის უამრავ რისკზეც მიდიან. რაც ყველაზე მთავარია, მეუღლეები უნდა იყვნენ მშვიდები, გაწონასწორებულები და დაბალანსებული ადამიანები, მათ უნდა სწამდეთ და სჯეროდეთ თავისი მეორე ნახევრის, თორემ თუ უნდობლობა ჩამოყალიბდა მათ შორის, ეჭვებიც აქვე ჩნდება, რაც ყველაზე დიდ დისკომფორტს უქმნის მის მეორე ნახევარს და მთლიანად ოჯახს, ეს უბრალოდ დაავადებაა, რასაც ჩემს შემთხვევაში დაშორება მოჰყვა.

- ოჯახების დანგრევა დღევანდელი კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. საზოგადოებაში ხშირად საუბრობენ იმის შესახებ, თუ რა უნდა იყოს მყარი ოჯახის საფუძველი. თუმცა, პრობლემის ცალმხრივად დანახვა არ შეიძლება. ადამიანებმა პასუხისმგებლობა სიღრმისეულად უნდა გაანალიზონ ოჯახის შექმნის პროცესში როდესაც წყვილი ამ გადაწყვეტილებას იღებს, რადგან ხშირ შემთხვევაში არ აქვთ გაცნობიერებული რა ვალდებულება აკისრიათ ერთმანეთის წინაშე, ოჯახის შექმნას კი ხშირად საფუძვლად პირადი ამბიცია, ვნება, ანგარება უდევს, რაც არასწორი მიდგომაა.

უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე თავის ქადაგებებში ხშირად გვარიგებს, რომ სანამ საქმე ჯვრისწერამდე მივა, წყვილმა არამარტო ერთმანეთი უნდა გაიცნონ კარგად, არამედ ერთმანეთის ოჯახური ატმოსფეროც. მათ წინაპრების შესახებაც უნდა იცოდნენ, რომ მომავალ თაობას რაიმე სულიერი სნეულება და დაავადება არ გამოჰყვეს.

ოჯახის შექმნის პროცესში მარტო რწმენა და სიყვარული არ არის საკმარისი, ასევე აუცილებელია თავმდაბლობა და მიტევების უნარი, რადგან უფალი “მდაბალთა მისცემს მადლს, ხოლო ამპარტავანთ შემუსრავს”.

ნეტარი ავგუსტინეს დედა, მიუხედავად იმისა რომ მას წარმართი და მძიმე ხასიათის მეუღლე ჰყავდა, ოჯახში სიმშვიდის შენარჩუნებას მაინც ახერხებდა. მეზობლები ხშირად მიდიოდნენ მასთან, რათა გაეგოთ ის საიდუმლოება, თუ როგორ ახერხებდა ქრისტიანი ქალი წარმართ და ძალიან უხასიათო ადამიანთან თანაცხოვრებას. ნეტარი ავგუსტინეს დედა კი პასუხობდა, რომ როდესაც მეუღლე ძალიან გაღიზიანებული, აღშფოთებული იყო და ხშირ შემთხვევაში უსამართლოდაც ექცეოდა ოჯახის წევრებს, ამ დროს შეპასუხების ნაცვლად ის ლოცულობდა, ავედრებდა ღმერთს თავის მეუღლეს, რომ მისთვის მიეცა მადლი სიმშვიდისა, სულგრძელებისა და მოთმინებისა და პრობლემაც უკან იხევდა. მხოლოდ დაწყნარებისა და დამშვიდების შემდეგ, თბილად და მშვიდ გარემოში უხსნიდა მეუღლეს თავის შეცდომებს. ოჯახების დანგრევა არის მიზეზი უსიყვარულობისა, ნელთბილი სარწმუნოებისა, სიამაყისა, ამპარტავნებისა, რომ შენდობის მადლი, შენდობის ძალა და სულგრძელება ნაკლებია ოჯახურ ყოფაში, როცა სწორედ ნდობაზე, მოთმინებასა და სულგრძელებაზე არ არის დამყარებული ოჯახური ცხოვრება.

დღეს ქალს მამაკაცთან გათანაბრების სურვილი გააჩნია, საღმრთო წერილის მიხედვით კი ვიცით, რომ როგორც ქრისტეა თავი ეკლესიისა, ასევე მამაკაცია თავი თავისი ოჯახისა და მეუღლისა. თუმცა ხშირად სისუსტეს, ნაკლულოვანებას ქმრისას დედაკაცები სათავისოდ იყენებენ. ოჯახში, რომელშიც მამაკაცი უპირატესი არ არის და ქალს გაჩნია სურვილი ქმარზე წინ იდგეს, ირღვევა ოჯახური იერარქია, რაც ღვთისგან დადგენილი წესი და კანონია. ამას კი ოჯახების დანგრევა მოყვება ხოლმე.

- მამა ლევან ალადაშვილი ამბობს, გამოსავალი ეკლესიის წიაღშია. როდესაც მამაკაცს და დედაკაცს ჯვარს ვწერთ, ვურჩევთ, მათი ორიენტირი ეკლესიური და სარწმუნოებრივი ცხოვრება იყოს, რაც უფრო მეტ ჰარმონიას და თანხმობას შემოიტანს მათ ოჯახურ ყოფაში. როდესაც წყვილები ერთი მიმართულებით ცხოვრობენ, ერთი ინტერესი, ერთი სარწმონოებრივი წესი აქვთ, შესაძლო მატერიალური გაჭირვების დროსაც კი ნახულობენ ერთმანეთთან საერთოს, რადგან იციან განსაცდელი ღვთისგან არის მოვლენილი და ძალისხმევით, პასუხისმგებლობის გრძნობით და ისევ და ისევ ღვთის შემწეობით ცდილობენ ამ მდგომარეობიდან გამოსვლას.

ღმერთთან სიახლოვე, სარწმუნოებრივი ცხოვრების წესი, ეკლესიურობა, მცნებების დაცვა არის გარანტი ოჯახური ბედნიერებისა. ასეთი ჰარმონიული ოჯახი კი შთამომავლობასაც ღვთის სადიდებლად, ქვეყნისა და დედა ეკლესიის საკეთილდღეოდ გაზრდის.

ლალი მეხრიშვილი

რთველი 2014

უკვე ერთი კვირაა, სამთაწყარო-ფიროსმანში რთველი დაიწყო, რაიონის ხელმძღვანელობა ინტენსიურად არის ჩართული და თვალყურს ადევნებს მის მიმდინარეობას, მუნიციპალიტეტის გამგებლის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის თქმით რთველი ორგანიზებულად მიმდინარეობს, ღვინის ქარხნები მზად არიან ყურძნის მისაღებად, მათი წარმომადგენლები, მძღოლები და გლეხები ყოველ დილა ერთმანეთს ხვდებიან და დღის სამუშაოებიც იგეგმება. ტრანსპორტირებას ფირმა უზრუნველჰყოფს.რთველი 2014 -ის შტაბი, რომელიც გურჯაანშია განთავსებული, კოორდინირებას უწევს ყველა საქმიანობას, სოფლის რწმუნებულები კი ადგილზე შესავსებ დოკუმენტაციას აწესრიგებენ, ფიროსმანში 50 ტონა სუფრის ჯიშების, მათ შორის მუსკატის კრეფა უკვე დამთავრდა. ბოლო ფაზაშია საფერავის კრეფა, რომელიც დაახლოებით 80 ტონა დაიკრიფება, 80 ტონასაც რქაწითელს ელოდებიან. სამთაწყაროში სავარაუდოდ 1500 ტონა საფერავი და 400 ტონა რქაწითელი უნდა მოიკრიფოს. მაქსიმუმ ათ დღეში დამთავრდება ამ სოფლებში რთველი და ის ზემო სოფლებში და ენამთაში გადმოინაცვლებს.

-ამ გვალვებში როგორი მოსავალია?

-ვიცით, რომ 2003 წლამდე ეს სოფლები სრულად ირწყვებოდა. მერე მოიშალა ყველაფერი, ამოიყარა და ჯართში ჩაბარდა, თუ სადმე ერთი რკინის მილი იყო, ახლა სამთაწყაროს ნაწილი წნორის მხრიდან მომავალი წყლით ირწყვება და იმ მონაკვეთში ძალიან კარგი მოსავალია. ჰექტარზე 8-10 ტონა კარგი ყურძენი იკრიფება, სარწყავის გარეშეა დარჩენილი სამთაწყაროს 200 და ფიროსმანის 350 ჰექტარი ვენახი. ეს საკმაოდ დიდი ზარალია აქაური მოსახლეობისთვის. სადაც ვერ ირწყვებოდა, მტევანი დაკნინებული და გამომშრალია, თუმცა მთავრობის შუამგომლობით ასეთ ყურძენსაც იბარებენ ქარხნები და არცთუ ცუდ ფასად-ერთ ლარად.

-საერთოდ რა ფასში იყიდება ყურძენი?

-საფერავის ფასი ლარი და 20 თეთრიდან დაიწყო და უკვე და1,50 ლარზე ავიდა, კონდიციური რქაწითელის ფასი კი, ლარი და 10 თეთრიდან ლარი და 20 თეთრია. ვისაც შრომა არ ეზარება, ის ამ რთველის პერიოდში შემოსავალს სხვა გზითაც მიიღებს. ერთი კოლოგრამი ყურძნის მოკრეფაში მუშას 7 თეთრს უხდიან, ყოჩაღი მკრეფავი ერთ ტონასაც კი მოკრეფს, დღეში 50 -70 ლარის გამომუშავება შეუძლიათ მათ, ვინც თავის საქმეს მორჩა და მოიცალა. სოფლის ბირჟაზე დგომას ზამთარშიც მოესწრებიან, ახლა სჯობია საქმეს დაეშურონ.

ვენახი ოდითგან დოვლათისა და ბარაქის წყარო იყო, მართალია, შრომაც ბევრი სჭირდება, მაგრამ მაინც მადლიანია.

ნაირა გორაშვილი

ქართული ღვინო - ჩინეთის მილიონიანი ქალაქებისთვის

ჩინეთი საქართველოსგან მოშორებული ქვეყანაა, განსხვავებული წეს-ჩვეულებებითა და ტრადიციებით, თუმცა, სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ შესაძლოა, ეს შორეული ქვეყანა ქართული ღვინისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ბაზრად გადაიქცეს. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია და ციფრებიც ადასტურებს, რომ ჩინეთში ქართული ღვინის რეალიზაცია თანდათან იმატებს - 2014 წლის ივლისისთვის ექსპორტირებულია 728 238 ბოთლი ღვინო, რაც 14%-ით მეტია შარშანდელ იმავე პერიოდის მაჩვენებელზე.



ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელ ლევან დავითაშვილის თქმით, უკვე გადაწყდა, რომ ქართულ ღვინოს პოპულარიზაციას ჩინეთის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის კომიტეტი გაუწევს. ამ თანამშრომლობაზე მხარეები შეთანხმდნენ გასულ თვეს ჩინეთში ოფიციალური ვიზიტის დროს. ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი სამთავრობო, არასამთავრობო და ბიზნესსექტორების წარმომადგენლებს შეხვდა. გაიმართა ქართული ღვინის სემინარი, ხოლო 30 ივლისს კი, ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია, რომელმაც წარმატებით ჩაიარა. ლევან დავითაშვილი ჩინეთში ვიზიტსა და ქართული ღვინის პერსპექტივებზე გვესაუბრება:

- ბატონო ლევან, როგორ შეაფასებთ ჩინეთში გამართულ შეხვედრებს და რატომ არის ამ ქვეყნის ბაზარი ჩვენთვის საინტერესო?

- წლეულს ეს უკვე მეორე ვიზიტია და, ალბათ, კიდევ რამდენიმე გვექნება. ეს ვიზიტები ჩვენი მარკეტინგული სტრატეგიის ნაწილია. ჩინეთი ქართული ღვინისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ბაზრად არის მიჩნეული, იქ უკვე შერჩეულია მარკეტინგული კომპანიები, რომლებიც ქართული ღვინის პოპულარიზაციასა და მისი ცნობადობის ამაღლებაზე იმუშავებენ.

ჩინეთის ბაზარი მეტად სპეციფიკურია, რადგან იქ ძალიან ბევრია სახელმწიფო საწარმო. მიუხედავად იმისა, რომ იქაც საბაზრო ეკონომიკაა, სახელმწიფოს კონტროლი და გავლენა მაინც დიდია. აქედან გამომდინარე, თუ სამთავრობო სტრუქტურებს არ დავაინტერესებთ, ძალიან გაურთულდება ქართულ ღვინოს იქ ფეხის მოკიდება. ყველანაირად ვცდილობთ, მომხმარებელს ქართულ ღვინოზე წარმოდგენა შეექმნას. საწყის ეტაპზე, ძირითადად, პროფესიონალ მომხმარებელზეა საუბარი. ვცდილობთ, მჭიდრო კონტაქტი გვქონდეს ჩინეთის ვაჭრობის სამინისტროსთან, რომელიც კოორდინაციას უწევს ალკოჰოლური სასმელების გაყიდვას. შეხვედრები გვაქვს იქაურ სამთავრობო და ბიზნესწრეებთან, ორგანიზაციებთან, რომლებსაც ჩინურ ბაზარზე დიდი გავლენა აქვთ. თითქმის ყველას შევხვდით, ვისაც ამ სფეროში სიტყვა ეთქმის.

- რამდენად რეალურია იმედი, რომ ქართული ღვინო ჩინურ ბაზარზე თავს დაიმკვიდრებს?

- ეს იმედი რეალურია თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ შევაფასეთ, რომ ეს ქვეყანა მართლაც პერსპექტიული იქნებოდა ქართული ღვინისთვის და ამის შემდეგ დავიწყეთ მოქმედება. უპირველეს ყოვლისა, ჩინეთის ბაზარი მზარდია - თუ სხვა ქვეყნებში ღვინის მოხმარება მცირდება, იქ, პირიქით, იმატებს. ამასთან, ეს აშშ-ის შემდეგ ყველაზე დიდი ბაზარია: თუ აშშ-ში ყოველწლიურად 3,9 მილიარდ ბოთლ ღვინოს ყიდიან, ჩინეთის ბაზარზე დაახლოებით 2 მილიარდი ბოთლი იყიდება. ეს არის უზარმაზარი სივრცე, სადაც ღვინო ჯერჯერობით რამდენიმე ქვეყანას შეაქვს, და იქ არის ადგილი, სადაც შეიძლება ქართული ღვინო დამკვიდრდეს.

თუ ევროპასა და დასავლეთში საკმაოდ პრაგმატული მიდგომა აქვთ და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ქართული ღვინის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ჩინეთში პირიქით ხდება. ეს ჩვენ საკუთარი თვალით ვიხილეთ და დავრწმუნდით, მით უმეტეს, რომ ჩინეთიც უძველესი ისტორიის მქონე ქვეყანაა. პოზიტივებს შორის დავასახელებდი იმასაც, რომ ჩინელების დამოკიდებულება საქართველოს მიმართ არის ძალიან თბილი და კეთილი, რასაც ზოგიერთ ქვეყანაში ვერ ვხედავთ. სამწუხაროდ, საქართველო უცნობია ყველგან, გარდა დსთ-ის სივრცისა. ჩინეთშიც მსგავსი მდგომარეობაა, მაგრამ საქართველო იქ მაინც უფრო იციან და ვინც იცის, საკმაოდ დადებითად არის ჩვენ მიმართ განწყობილი.

- რამდენად მოუხდება ქართული ღვინო ჩინურ სამზარეულოს?

- ჩინური სამზარეულო ძალიან მდიდარი და მრავალფეროვანია და სხვათა შორის, მათი სუფრისთვის ღვინის შერჩევა ძალიან რთულია. მაგრამ აქ კიდევ ერთი დადებითი მხარე ჩნდება: მოგეხსენებათ, რომ ქართული ღვინო კომპლექსურია და ბევრ კერძთან მიდის, მრავალფეროვანია ჩვენი სამზარეულოც. შესაბამისად, ღვინის შეხამების ელემენტი, რომელიც დასავლეთში ასე მიღებულია და მნიშვნელოვანი, ჩინეთში არ არის საჭირო. სხვათა შორის, ჩინელებს ტრადიციული სასმელი ღვინო არასოდეს ჰქონიათ, მათ სასმელს ჰქვია ბეიჯუ, რომელსაც სხვადასხვა მარცვლოვანი კულტურისგან აყენებდნენ საუკუნეების განმავლობაში. ბეიჯუ ძალიან პოპულარულია უფროს თაობაში. არსებობს სხვადასხვა ტიპის ბეიჯუ. ჩინეთში არის მილიარდიანი კორპორაციები, რომლებიც ამ სასმელს აწარმოებენ. ბეიჯუ სპეციფიკური სასმელია, თითქოს ჩვენებურ არაყს წააგავს, მაგრამ უფრო არომატულია. ამ უძველესი სასმლის ზოგიერთი ბრენდის ბოთლი ჩინეთში 500-1.000 ევროც კი ღირს, ბეიჯუ ყველა საზეიმო მიღებაზე გამოაქვთ და მისით ამაყობენ. არსებობს ბეიჯუს ისეთი ტიპი, რომელსაც ქვევრებში ადუღებენ და მერე ხდიან... ერთი სიტყვით, ეს სასმელი ჩინეთში ძალიან პოპულარულია, მაგრამ ახალგაზრდებში, განსაკუთრებით კი ქალებში, ღვინო თანდათან იძენს პოპულარობას.

რასაკვირველია, ღვინო ჩინელების ტრადიციულ სასმელს ვერ ჩაანაცვლებს, მაგრამ ღვინის მოხმარების ზრდის ტენდენცია აშკარაა. ეს თვალსაჩინო განსაკუთრებით მილიონიან ქალაქებშია, ისინი კი ჩინეთში ბევრია. პეკინისა და შანხაის მსგავსად, ამ ქალაქებში მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი ძალიან მაღალია.

- თვითონ თუ აწარმოებენ ღვინოს და, ძირითადად, სადაური ღვინოები მოსწონთ?

- დიახ, ადგილობრივი ღვინის წარმოება ძალიან დიდია და მზარდი. ჩინეთი უკვე ვენახების ფართობითაც ლიდერი ხდება და სულ მალე შეიძლება მსოფლიოში პირველ ადგილზეც გავიდეს. დღეს ეს ქვეყანა მსოფლიოში ღვინის რიგით მეხუთე მწარმოებელია.

ჩინელები ძირითადად, მსოფლიოში ცნობილ ღვინოებს აწარმოებენ, თუმცა, ნელ-ნელა გამოჰყავთ ადგილობრივი ჯიშებიც. მართალია, მათთვის ეს ტრადიციული კულტურა არ არის, მაგრამ საქართველოსთან შედარებით, იქ მაინც ძალიან დიდი მასშტაბებია. ვენახების დიდი ნაწილი ჩინეთში XX საუკუნის 70-80-იანი წლებიდან გააშენეს. სხვათა შორის, იქ საბჭოთა დროს წაღებული რქაწითელი და საფერავიც ხარობს.

- როგორია ჩინური ღვინო?

- საქმე ის არის, რომ ჩინეთში ძალიან რთული კლიმატია. რა თქმა უნდა, ჩინეთშიც არის ადგილები შედარებით უკეთესი პირობებით, მაგრამ კლიმატიდან გამომდინარე, ღვინის ხარისხი არ არის ისეთი კარგი. თუმცა, პროფესიონალიზმი აშკარად იგრძნობა, ხარვეზიანი ღვინო იქ პრაქტიკულად არ არის. მაგრამ ქართული ღვინო გემოთი და არომატით ჩინურისგან გამოირჩევა. ამიტომ დიდი შანსი გვაქვს, ის ჩინელებსაც მოვაწონოთ.

ამ ეტაპზე ჩინეთში ფრანგული ღვინო აშკარა ლიდერია, მას მოჰყვება ავსტრალია, იტალია და ჩილე. ეს არის პირველი ოთხეული, რომელიც ღვინით ამარაგებს ჩინეთს. ავსტრალიასა და ჩინეთს ტრადიციულად აქვთ ძალიან ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები, რასაც ტერიტორიული სიახლოვეც განაპირობებს. ჩინელებს შორის პოპულარულია რამდენიმე ადგილობრივი ჯიში, ხოლო უცხოურ ჯიშებში, ძირითადად, ბორდო, კაბერნე და მერლოუ დომინირებს. პოპულარულია იტალიური ღვინოც.

- მოკლედ, როგორ შეაფასებთ ქართული ღვინის „ჩინურ პერსპექტივებს“?

- სამწუხაროდ, ჩვენ ცოტა დავაგვიანეთ და ეს შეხვედრების დროს არაერთმა პროფესიონალმა გვითხრა, მაგრამ ეს მაინც პერსპექტიული ბაზარია. ქვეყანა ძალიან დიდია და იქ ჩვენს სეგმენტს ვეძებთ. მართალია, ავსტრალიას ვერ შევედრებით და იქ ასეულმილიონობით ბოთლს ვერ შევიტანთ, მაგრამ ქართული ღვინისთვის ჩინეთი ერთ-ერთი საინტერესო, ალტერნატიული მიმართულება გახდება. მე ვნახე იქაური ვენახები და ჩინური ღვინოებიც გავსინჯე, ვნახე ისიც, როგორი მოწონება დაიმსახურა საერთაშორისო გამოფენაზე ქართულმა ღვინომ. 30 ივლისს გაიმართა პრეზენტაცია და დეგუსტაცია, სადაც ჩინელები ტაშითა და შეძახილებით გამოხატავდნენ თავიანთ კეთილგანწყობას. მათ ძალიან მოსწონთ ჩვენი ღვინო და ისიც, რომ საქართველო ძველი კულტურის ქვეყანაა. ბოლო ხანებში ჩინეთში ქართული ღვინის გაყიდვაც იზრდება და დიდი იმედი გვაქვს, რომ მომავალში ეს ციფრები კიდევ უფრო მოიმატებს.

- რამდენად გამართლებულია მოსაზრება, რომ რუსული ბაზარი ჩინეთმა ჩაანაცვლოს?

- მოდი, შევთანხმდეთ, ნუ ვისაუბრებთ რუსული ბაზრის ჩანაცვლებაზე, რადგან ის ქართული ღვინისთვის დომინანტია. ამ ეტაპზე რუსეთი ჩვენთვის ნომერი პირველი პარტნიორია, თუმცა, მისი ალტერნატივა მართლაც შეიძლება გახდეს ჩინეთი. საქართველო ერთ ბაზარზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, რუსეთშიც უნდა შევინარჩუნოთ პოზიცია, ჩინური ბაზარიც ავითვისოთ და ამითაც არ უნდა შემოვიფარგლოთ - სხვათა შორის, ქართული ღვინის გაყიდვის თვალსაზრისით აშშ-იც არანაკლებ საინტერესოა.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

ზნეობრივი მაგალითი მომავალს

ვიცი, რომ ამ თემით ახალს ვერაფერს ვიტყვი, ვერც ვერავის გავაკვირვებ ჩემი ნააზრევით, რადგან, რასაც დავწერ, უკვე მრავალგზის დაწერილი და ნათქვამია, მაგრამ მსურს, რომ შეგახსენოთ იმ კაცის გმირობა, რომლის საქციელიც გმირობასაც კი გასცდა და ღვთისკაცადაა წოდებული. მინდა, რომ ჩემი დამოკიდებულება გამოვხატო მისი დიდბუნოვანი ხასიათის, ენით აუწერელი მოთმინების მიმართ და კიდევ ერთხელ მივაგო პატივი მის უკვდავ ხსოვნას.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც თავისი ბრწყინვალე ცხოვრებით წამიერად გაიელვებენ და შემდეგ ქრებიან, მაგრამ სამუდამო და წარუშლელ კვალს ტოვებენ ერის ცნობიერებაში. პატიოსანი, უანგარო სიყვარულის მაგალითს იძლევიან და სამარადჟამო ადგილს იმკვიდრებენ თანამემამულეთა გულებში. მე ასეთად ექვთიმე თაყაიშვილს მივიჩნევ.

ალბათ ამ სახელისა და გვარის ხსენებისას თითოეული თქვენგანის თვალწინ წამიერად გაიარა მისმა ცხოვრებამ, გაგახსენდათ ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - განძის დაცვას შელეული ნახევარი საუკუნე.

ვკითხულობ მის ბიოგრაფიას და ჩემს წარმოსახვაში ცოცხლდება ექვთიმე, სათნო, კეთილი სახით და მზრუნველი, სიყვარულით აღსავსე თვალებით. ვხედავ, თუ როგორ უყურებს თითოეულ ნივთს, მისთვის ყოველი მათგანი ძვირფასია. თვითონ შია, სცივა, თავშესაფარი არ აქვს და თავს მებოსტნეობით ირჩენს, მაგრამ გონებაში არც კი გაივლებს მათ გაყიდვას, არც გამოფენას. ეს ხომ მისი საკუთრება არაა, განძი ქართველი ხალხისაა, ის მათ უნდა დაუბრუნდეს. არ იცის, როდის ან როგორ, მაგრამ, მთავარია, რომ იმედს არასდროს კარგავს. კაცი ხომ იმედით და ღვთის რწმენით ცოცხლობს, თორემ აბა რა გაუძლებდა ამ დამღლელი და რთული ცხოვრების ორომტრიალს. საოცარი სიმამაცით, მხნეობით, ცხოვრების დაუოკელი წყურვილით ფეთქავდა მისი გული. უკვე დიდი ხანია მიხვდა, რომ წუთისოფელი არც თუ ისეთი უმწიკვლოა და განსაცდელებითაა სავსე, მაგრამ მაინც უყვარდა, მაინც შეტრფოდა, ცდილობდა, რომ ყოველი წუთი, წამი ღირებული ყოფილიყო. სამშობლოდან დევნილი დღე და ღამ ისევ იმაზე ფიქრობდა, რომ მეცნიერული მუშაობით კვლავ საქართველოს

დახმარებოდა. განა ეს ნებისმიერ ადამიანს შეუძლია?! ეს ხომ ჩვეულებრივი მოკვდავის შესაძლებლობებს სცდება. მასში მართლაც ღვთის ნაპერწკალი იყო ჩანერგილი, რომელიც დღითი დღე ღვივდებოდა და უფრო ბრწყინვალეს ხდიდა ისედაც ნათელ სულს.

ვფიქრობ ექვთიმეზე, მის თვისებებზე, ცხოვრებაზე და რატომღაც საოცარად ვამსგავსებ ქართველთათვის ასევე სათაყვანებელ ილიას. პარადოქსია ეს მსგავსება, ისინი ხომ ორი სრულიად განსხვავებული პიროვნებები იყვნენ სხვადასხვა სოციალური გარემოდან. მიუხედავად იმისა, რომ ილია თავადი იყო, ხოლო ექვთიმე ობლობაში გაზრდილი გლეხის შვილი, რომელსაც სამადლოდ მისცეს განათლება, მათ აერთიანებდათ ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და წმიდათა წმინდაა - განსაცვიფრებელი რწმენის უნარი და სამშობლოს სიყვარული. ორივემ საქართველოს შესწირა მთელი სიცოცხლე და, დარწმუნებული ვარ, არც ერთს არასდროს არ გაუვლია გულში, რომ გმირია ან მსხვერპლი, რომელიც თავისი სურვილით ზვარაკად ეწირება. ყველაზე დასაფასებელი სწორედ ესაა, რომ ასეთი საქციელი მათთვის ბუნებრივი იყო, ვერაფერს ხედავდნენ განსაკუთრებულს. მიაჩნდათ, რომ ადამიანის მოვალეობა სხვაზე ზრუნვა და მათი ბედნიერების შექმნაა.

ალბათ XIX საუკუნეში ილიას რომ არ ეთქვა სამი გენიალური სიტყვა ,,მამული, ენა, სარწმუნოება“, XX საუკუნეში ექვთიმე იტყოდა ამას. ისინი ხომ მართლაც ამისთვის ცხოვრობდნენ და იბრძოდნენ.

არც ისაა შემთხვევითი, რომ პირადი ცხოვრებითაც გარკვეულწილად დაემსგავსნენ ერთმანეთს. საზოგადოებაზე ზრუნვით გადაღლილები სახლში, ოჯახურ კერაში პოულობდნენ მშვიდ ნავთსაყუდელს. ძვირფასი იყო ილიასთვის ოლღა და ასეთივე გრძნობა აკავშირებდა ექვთიმეს ნინოსთან. დევნილობაში ყოფნისას ის იყო მისი გულის მესაიდუმლე, გამამხნევებელი, ძალას მატებდა, ენერგიას აძლევდა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი თითქოს უფრო დაბერდა, მოეშვა, გულს მხოლოდ იმით იმხნევებდა, რომ თუკი ოდესმე საქართველოში დაბრუნება ეღირსებოდა, ნინოს ნეშტს აუცილებლად თან წამოიღებდა.

ალბათ ნიშანდობლივია ისიც, რომ ხშირად ბუმბერაზ ადამიანებს შვილები არ ჰყავთ, ისინი ხომ საკუთარ თავს არ ეკუთვნიან.

როდესაც ასრულდა მისი ოცნება და დაბრუნება გადაწყდა, უკვე საკმაოდ სნეული იყო. შეეშინდა, რომ ვერ გაუძლებდა დამღლელ მგზავრობას და ცოცხალი ვერ ჩამოაღწევდა. ივანე ამირხანაშვილს მთელი გულით ევედრებოდა, რომ მკვდარი მაინც დაესვენებინათ მშობლიურ მიწაზე.

ასევე ივანეს სთხოვა მორიდებულად კოსტიუმის ფული, დაძონძილი ტანსაცმლით ხალხში გამოჩენის მრცხვენიაო. ამბობენ, გაკვირვებული უყურებდაო ყოფილი სტუდენტი მის წინ მდგომ თავდახრილ მოხუცს და ყურებს არ უჯერებდა, რომ ამხელა განძილს მფლობელს ტანსაცმლის ფულიც კი არ ჰქონდა.

არ ვეკუთვნი იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც მუდმივად იმას გაიძახიან, რომ ქართველები უნაკლოები ვართ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და ეს დიდი მადლია. თამამად შემიძლია თქმა, რომ უნდა ვიამაყოთ, რომ ექვთიმესნაირი ადამიანი ქართველი იყო და იმ მიწაზე დავდივართ, სადაც ის ადგამდა ფეხს. ასეთები საუკუნეში ერთხელ იბადებიან იმისთვის, რომ ზნეობრივი მაგალითი მისცენ მომავალ თაობას.

ამ თემის წარმოდგენით ჩემი მიზანი იყო, რომ კიდევ ერთხელ გამეცოცხლებინა ღვთისკაცი, ისევ აღვფრთოვანებულიყავით მისი რწმენით, სიმტკიცით, სიყვარულის, მოთმინების უნარით და დავფიქრებულიყავით, თუ რისთვის ვართ მოვლენილები ამქვეყნად და არის კი რაიმე სარგებელის მომტანი ჩვენი სიცოცხლე?

მარიამ ტუხაშვილი

უკრაინა - რუსეთის აგრესიის პირისპირ

უკრაინაში ვითარება დღითი დღე იძაბება. ქვეყნის მთავრობა ,ჯერჯერობით, თავს იკავებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისგან, საერთაშორისო თანამეგობრობა კი რუსეთს მოუწოდებს შეწყვიტოს სამხედრო აგრესია ქვეყნის ტერიტორიაზე. 28 აგვისტოს დონეცკთან გამართულ სამხედრო შეტაკებებს კიდევ 15 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. საქართველოს მთავრობაში აცხადებენ, რომ უკრაინაში განვითარებული მოვლენები გავლენას მოახდენს არა მხოლოდ რეგიონზე, არამედ უარყოფითად იმოქმედებს საერთაშორისო უსაფრთხოებაზეც.

ბოლო დღეებში უკრაინაში განვითარებული მოვლენები ისევ მსოფლიო ყურადღების ცენტრში და ახალი ამბების სათავეში მოექცა. უკრაინის მედია რუსეთის ჯარის უკრაინის ტერიტორიაზე გადაადგილებას ქვეყანაში „შეჭრად“ აფასებს, ქვეყნის მთავრობა კი საერთაშორისო თანამეგობრობას დახმარებას სთხოვს.

რუსეთს აგრესიის შეჩერებისაკენ უკვე დასავლეთის ქვეყნების არაერთმა ლიდერმა მოუწოდა. გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომის შემდეგ, თეთრ სახლში გამოსვლისას, აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ ***„რუსეთი პასუხისმგებელია ძალადობაზე უკრაინაში - ეს ძალადობა არის წახალისებული რუსეთის მიერ, სეპარატისტები გაწვრთნილები, შეიარაღებულები და დაფინანსებულები არიან რუსეთის მიერ, რუსეთი განზრახ ხელყოფს უკრაინის სუვერენიტეტს და უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების ყოფნა ამ ყველაფერს ნათელს ხდის მთელი მსოფლიოსათვის“.***

უკრაინას დახმარებას სთავაზობს საქართველოც.

საქართველოს მთავრობა რუსეთის ქმედებებს მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე „ღია აგრესიად“ აფასებს - ეს განცხადება მედიასთან სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილმა გააკეთა. მისი თქმით, საერთაშორისო თანამეგობრობამ უკრაინას უსწრაფესად უნდა აღმოუჩინოს დახმარება და ის არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ განცხადებებით. ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობა მზად არის ასევე დაეხმაროს მეგობარ ქვეყანას საჭიროების შემთხვევაში:

“ჩვენ ინტენსიურ კონტაქტში ვართ უკრაინელ კოლეგებთან. საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ახლაც უკრაინაში იმყოფება და თავის კოლეგასთან განიხილავს, თუ როგორ შეიძლება დავეხმაროთ მათ. ამავე მიზნით ყველა ჩემი კოლეგა თავის პარტნიორ უწყებასთან ინტენსიურ კონტაქტშია”, - აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა.

საგანგებო განცხადებას ავრცელებს საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც:

„დღეს საფრთხის წინაშე დგას კიდევ ერთი ევროპული ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. დაუშვებელია, რომ სახელმწიფოთა საზღვრები იცვლებოდეს გარე ძალების უხეში ჩარევისა და სამხედრო აგრესიის გზით. კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს მტკიცე მხარდაჭერას უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და საერთაშორისო თანამეგობრობას ერთიანი ძალისხმევისაკენ მოვუწოდებთ, ევროპაში ახალი ომის თავიდან ასაცილებლად“.

უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა თურქეთში ვიზიტად მყოფი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც:

„აუცილებელია ყველამ პატივი სცეს უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ასევე მის უფლებას დაამყაროს წესრიგი და უზრუნველყოს უკრაინის თითოეული მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების სრული დაცვა და მათი ღირსეული მომავალი უკრაინის მთელ ტერიტორიაზე. საერთაშორისო თანამეგობრობამ არ უნდა დაუშვას ევროპაში ფართომასშტაბიანი კონფრონტაცია და საზღვრების ძალისმიერი მეთოდებით შეცვლა. საჭიროა არ დავიშუროთ ძალისხმევა, რათა უკრაინაში დაისადგუროს მშვიდობამ და სტაბილურობამ“.

ირაკლი ღარიბაშვილი განცხადებაში აღნიშნავს, რომ „საქართველო მყარად უჭერს მხარს უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში“.

უკვე ცნობილია ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს უკრაინაში ვიზიტის შედეგებიც. მინისტრის განცხადებით, საქართველო, შეთანხმების თანახმად, უკრაინულ მხარეს დაეხმარება სამედიცინო დახმარების სპეციალური კომპაქტური აფთიაქებით, ტექნიკით, მედიკამენტებით. ასევე გეგმა მოიცავს კონფლიქტის უშუალო არეალში დარჩენილი მშვიდობიანი მოსახლეობის სამედიცინო დახმარებას.

„ეს არ არის მხოლოდ ერთი სახელმწიფოს პრობლემა“, - აცხადებს პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში თენგიზ ფხალაძეც. - ***„ეს პრობლემა არ შეიძლება გადავიტანოთ ორმხრივი ურთიერთობების ჭრილში, ისევე როგორც ჩვენი პრობლემები - ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი - არ შეიძლება განვიხილოთ საქართველო-რუსეთის ორმხრივი ურთიერთობების ჭრილში. ამ პრობლემის გადასაწყვეტად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო ჩართულობა და ძალისხმევა“.***

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი აღნიშნავს, რომ რუსეთის მთავარი გეგმა ახლა ოდესისაკენ გაჭრა და როგორც შავიზღვისპირეთის, ისე აზოვის ზღვისგან უკრაინის მოკვეთაა:

„თუ რუსეთმა თავისი გეგმა განახორციელა, მას ასევე ექნება სახმელეთო გასასვლელი ყირიმის ნახევარკუნძულზე, რომლის ანექსიაც თებერვალში მოხდა, ხოლო თუ ოდესამდე მივლენ, მაშინ ისინი შევლენ სეპარატისტულ დნესტრისპირეთში და, ფაქტობრივად, რკალს კრავენ“.

ირაკლი ალადაშვილი არ ელის, რომ ან ნატო, ან აშშ თუ დასავლეთის რომელიმე ქვეყანა უკრაინას სამხედრო ძალით დახმარებას გაუწევს. მისი აზრით, გამოსავალი შესაძლოა იყოს ნატოს გარეშე აშშ-ის მიერ უკრაინის (და, ამავე დროს, საქართველოს) თავის მთავარ მოკავშირედ გამოცხადება.

თუმცა, სანამ მსოფლიო თანამეგობრობას უფრო კონკრეტული ნაბიჯი გადაუდგამს, უკრაინაში შეტაკებები გრძელდება. გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწის ადამიანის უფლებათა საკითხებში ივან სიმონოვიჩის განცხადებით, 2014 წლის აპრილიდან დღემდე უკრაინაში, საბრძოლო მოქმედებების შედეგად, უკვე 2 593 ადამიანია დაღუპული.

მარიამობა

28 აგვისტო-ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული აღნიშნა დედოფლისწყაროს მრევლმაც. ამასთან დაკავშირებით ყოვლადუსამღვდელოესმა ხორნაბუჯელმა ეპისკოპოსმა მელქისედეკმა სადღესასწაულო წირვა აღავლინა ამავე სახელობის საკათედრო ტაძარში, გერმანიისა და ავსტრიის ეპისკოპოს ლაზარესთან ერთად, რომელსაც მეუფე მელქისედეკმა ეპარქიის სახელით ოლარი და ომოფორი უსახსოვრა. ასევე სტუმრად იმყოფებოდნენ არქიმანდრიტი პიროსი და დიაკონი ბექა. შეგახსენებთ, რომ 5 წლის წინ ზუსტად ამ დღეს ეკურთხა საკათედრო ტაძარი.

ამ უწმინდეს დღესასწაულზე გვსურს ღვთისმშობლის მეოხების რამდენიმე მაგალითი შემოგთავაზოთ.

სასჯელი უქმეების გატეხისათვის

ეს ამბავი 1901 წლის ღვთისმშობლობას მომხდარა. ამის თაობაზე გაზეთ "მწყემსში" დაბეჭდილია მღვდელ სპირიდონ ჯუღელის წერილი: "სოფელი თავასა არის სკანდის მახლობლად, აღმოსავლეთის მხრით. თავასელმა გლეხმა ე. ქვ. ნაშუადღევის 3 საათზედ ინება სიმინდის სატეხათ ყანაში წასვლა, ხარები დააბა, ჩალა ჩაუჭრა, თვითონ კი მუშაობა დაიწყო. ამას შეხედა სკანდელმა გლეხმა გ. დ.-მ, ესეც წაბრძანდა, ამან ქვევით დაიწყო სიმინდის ტეხვა, თავასელმა - ზევით. არ გასულა ნახევარი საათი, გადაკოტრიალდა ცალი ხარი და ძლივსძლივობით მიასწრეს დანა. არ გასულა 15 წამი, საიდან იყო და რა შემთხვევამ გადმოაგორა, მოგორავს ქვა. აქეთ ეცა გლეხი, იქით ეცა, იქნებ როგორმე ავცდეო, მაგრამ ცდამ ამაოთ ჩაუარა საწყალს, ეტაკა ქვა ზედ შუა წვივზედ და ისე დაუმსხვრია წვივი, რომ ექიმმა ძლივს მოუყარა ძვლებს თავი. გადარჩება თუ არა იგი, ღმერთმა იცის. უქმის ტეხვას და მცნების აღუსრულებლობას მოყვა ამისთანა უბედურება. ვგონებ, ჭკუის სასწავლებლად კმარა. არ ერჩია იმ უბედურს, რომ მეორე დღეს ემუშავნა და ის დღე წმინდად შეენახა?"

„ამ ხატის ტარების ღირსი აღარ ვარ"

1621 წელს ისპაჰანიდან შირაზს მიმავალ პიეტრო დელა-ვალეს შაჰ-აბასის მიერ საქართველოდან გადასახლებული ქართველებიც უნახავს. "შირაზის გზაზე შევხვდი ქართველ ბიჭუნას, რომელიც დამკვრელების თანხლებით ქართულს ცეკვავდა. ჩვენ რომ დაგვინახა და მიხვდა, ვინც ვიყავით, მოირბინა ჩემთან, უბეში გადამალული ღვთისმშობლის ხატი ამოიღო, გადმომცა და მითხრა: მე ვერ გავუძელ შიმშილს და სიცივეს, რის გამოც მაჰმადიანობა მივიღე. ამ ხატის ტარების ღირსი აღარ ვარ. გთხოვთ მოუაროთო. მე ჩამოვართვი შემოთავაზებული და მხლებლებს ვუთხარი, განსაკუთრებული ადგილი მიეჩინათ ხატისთვის."

ვარიანის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი

ერთ-ერთი თავდასხმის დროს ლეკებმა ტაძრიდან სხვა სიმდიდრესთან ერთად ღვთისმშობლის ხატიც გაიტაცეს. ეს ხატი ვის ოჯახშიც შესულა, ძალიან ცუდად წასვლია საქმე. ერთ ლეკს დასიზმრებია, რომ ხატი დაბრუნებას ითხოვდა, თანაც მოზვრის რქებზე უნდა დაემაგრებინათ და ისე გამოეტუმრებინათ. ასეც მოიქცნენ. იარა ხარმა, იარა და მოვიდა აქ, ტაძრის ეზოში. ერთი დაიბღავლა, დაეცა და მოკვდა. ჩამოხსნეს ხატი და ტაძარში მიაბრძანეს.

ამის ჩამდენს ღვთის რისხვა არ ასცდება

ბეთანიელ მამას, ვასილს (ფირცხალავა) უკვე მღვდელმონაზონს, დედამისმა გულისტკივილით შესჩივლა, - ჩვენთან აქტივისტი კომუნისტები მოვიდნენ (ორი ქალი, თანამდებობის პირები), ხატების კუთხე დაარბიეს, სიწმინდეები ფანჯრიდან გადაყარეს. მე ღვთისმშობლის ხატი გულში ჩავიკარი და მხოლოდ მისი გადარჩენა მოვახერხეო.

მამა ვასილს უთქვამს, - ამის ჩამდენს ღვთის რისხვა არ ასცდებ და ძვლებიც ისე დაეშლება, როგორც ეს ხატები დაიშალაო. მართლაც, იმ ქალთაგან ერთ-ერთი, სრულიად ჯანმრთელი, მოულოდნელად ძვლების დაშლით მალევე გარდაცვლილა. მეორეს, დასნეულებულს, მამა ვასილისთვის მუხლმოყრით შენდობა უთხოვია და დანაშაული მოუნანიებია.

თქმულება მარიამწყაროზე

1901 წელს გაზეთი "ცნობის ფურცელი" იუწყებოდა, რომ ზემო იმერეთში, ამაშუკეთსა და ღორეშას შუა გამომდინარ წყაროს იმ არემარის მცხოვრებლები ღვთის დედის - მარიამის წყაროს ეძახიან. ლეგენდის მიხედვით, ეს ადგილები ქალწულ მარიამს ყრმა იესოს შობამდე მოუნახულებია.

ამ ლეგენდის ჭეშმარიტება დღესაც სჯერათ აქაურებს. მათი გადმოცემით, უხსოვარ დროში აქ გაუვალი ტყე ყოფილა. ქალწული მარიამი მის შუაგულში მარტოდმარტო მიდიოდა. გადადგამდა ნაბიჯს და უსიერი ტყე განზე იწევდა - აბიბინებული ბილიკი ეფინებოდა ფერხთით. მოგზაურობით დაქანცული ერთ უღრან ადგილას ჯირკზე ჩამოჯდა. მოშივდა და მის გარშემო ნაირ-ნაირი მწიფე ნაყოფით დახუნძლული ხეხილი ამოიზარდა. მოსწყურდა და ანკარა წყარო ამოჩუხჩუხდა. ქალწულმა ხილი იხილა, დანაყრდა, წყაროს დაეწაფა. მას შემდეგ მოჩუხჩუხებს და წყურვილს უკლავს მაშვრალს.

ამბობენ, დედა მარიამმა კაცთა მოდგმის გასამრავლებლად ამ ადგილებში განგებას სამშენებლო ქვისა და სილის სიუხვეც შესთხოვაო, რაც მართლაც უხვია და ულევი.

ამ მხარის მოსახლეობა ღვთისმშობლის პატივსაცემად წყაროსაც და იმ არემარესაც მარიამწყაროს ეძახის.

აფხაზეთის ომში

ძალზე შთამბეჭდავია იღუმენია ელისაბედის (ზედგენიძე) მონათხრობი სოხუმის დაცემის დღეებზე.

მორიგი ზავის შემდეგ მტერმა მოულოდნელად შეუტია სოხუმს. მონასტერში დარჩენილი დედები შიშით ისმენდნენ იმ საშინელ ამბებს, რაც სოხუმის ქუჩებში ხდებოდა. განსაკუთრებული რწმენით ევედრებოდნენ ივერიის ღვთისმშობელს მისი წმინდა ხატის წინაშე და უფლის დედამაც დაიფარა ისინი - მათ სახლში არავინ შესულა.

განთიადისას კარებზე ბრახუნი ატყდა, თურმე ქართველებს მაშველი ჯარი მოუვიდა, ხოლო ნამარი ბიჭები, სამასი კაცი, სამადლობელოდ მოვიდა ღვთისმშობელთან. პირჯვარს იწერდნენ და ყველას ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლი. ერთი მათგანი მივიდა დედა ელისაბედთან და ჰკითხა: - თქვენ მთელი ღამე ამ ხატთან ლოცულობდითო? რა იციო? - უკითხავს დედა ელისაბედს.„დილამდე ღვთისმშობელი იდგა ზეცაში და ჯვარს გვსახავდაო, - უპასუხა ჯარისკაცმა, - იმათი სნაიპერის ტყვია განზე უხვევდა, ჩვენი ნასროლი კი არ ასცდენია მიზანსო.

ყურადღება!

თუ თქვენ მეტყველების პრობლემა გაქვთ და ლოგოპედი გჭირდებათ, შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე 591 93 73 10 ან 593 96 10 66 და იკითხოთ ირინა, თქვენ შეღავათიან ფასად მოგემსახურებათ დედაქალაქში თერთმეტწლიანი მუშაობის გამოცდილების მქონე, კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც დაგეხმარებათ მეტყველების ნებისმიერი დარღვევის დაძლევაში.

ყურადღება!

ქალაქ დედოფლისწყაროში რუსთაველის ქუჩა №4, სოკარის ბენზინგასამართი სადგურის წინ, გაიხსნა ზოოვეტ მარკეტი. ჩვენთან შეგიძლიათ შეიძინოთ როგორც ხარისხიანი ვეტპრეპარატები, ასევე ცხოველების საკვები და მოვლის საგნები დაბალ ფასებში.



„ულოცავენ!

გულიკო გონაშვილს!

ჩვენო საყვარელო და საამაყო გული, გილოცავთ სკოლის წარჩინებით, ოქროს მედალზე დამთავრებას და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში უცხო ენების ფაკულტეტზე ჩარიცხვას, ასევე გრანტის აღებას. გისურვებთ წინსვლას და წარმატებებს ცხოვრების დიდ გზაზე. ღმერთი იყოს შენი მფარველი.

ბებო ლენა ღარიბაშვილი,
პაპა გესიკ პოპიაშვილი,
დეიდა ნონა პოპიაშვილი.

ამინდი დედოფლისწყაროში

ორშაბათი 01.09		სამშაბათი 02.09		ოთხშაბათი 03.09		ხუთშაბათი 04.09		პარასკევი 05.09		შაბათი 06.09		კვირა 07.09	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
28 °	24 °	31 °	25 °	32 °	26 °	32 °	27 °	30 °	25 °	25 °	22 °	25 °	21 °

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნინარა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქინქლაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K